186
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი — თებერვალი 1989 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 იანვრის № 52 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.
3. პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ.
4. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოების მიერ მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
5. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის პატენტების გაცემის წესის შეცვლის შესახებ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმის შექმნის შესახებ.
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.
8. საქართველოს სსრ სახმშენის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 ნოემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
9. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო-სამეცნიერო ცენტრისა და მეაბრეშუმეობის მუზეუმის შექმნის შესახებ.
10. ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების და მედიკამენტების ხარჯვის ნორმების შესახებ.
11. ლანჩხუთის სატყეო მეურნეობის აღდგენის შესახებ.
12. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
13. ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ სახეობათა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების მოწესრიგების შესახებ.
14. ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების მოწესრიგების შესახებ.
15. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და ამ კომიტეტის სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის (საქსახსათბობინსპექციის) დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

## 1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 იანვრის № 52 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ყოველწლიური სახელმწიფო პრემიების მინიჭება დედაენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნისათვის მოხდეს ცალკე უმაღლესი და ცალკე საშუალო სასწავლებლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 იანვრის № 52 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულებაში ცვლილებანი, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დამატებით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისათვის 2,5 ათასი მანეთი ყოველწლიურად ერთი პრემიის გასაცემად.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 31 იანვარი, 1989 წ. № 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 31 იანვრის № 73 დადგენილების დანართი

## ცვლილებანი,

**რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულებაში**

1. მე-2 პუნქტში სიტყვები: „1 პრემია — სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით: „2 პრემია — სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, მათ შორის 1 — უმაღლესი და 1 — საშუალო სასწავლებლებისათვის“.

2. მე-3 პუნქტის მე-2 შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების („სპეცტრანსი“) შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 მარტის № 121 დადგენილება „საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 6 იანვარი, 1989 წ. № 9

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 6 იანვრის № 9 დადგენილე-
ბით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების („სპეცტრანსი") შესახებ (დროებითი)

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება („სპეცტრანსი") შეიქმნა საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის — საქსახსპეცტრანსის ბაზაზე „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების („სპეცტრანსი") შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 1 დეკემბრის № 559 დადგენილების შესასრულებლად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი" ფუნქციონირებს როგორც რესპუბლიკური ერთიანი დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო, საპროექტო-საძიებო, სამონტაჟო-გასამართავი, სარემონტო-სამშენებლო, საექსპლუატაციო და სამეურნეო კომპლექსი სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების დარგში.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი" ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი" ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ახალ სახეობათა ტრანსპორტის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „სპეცტრანსს" აქვს საწესდებო ფონდი, დამოუკიდებელი ბალანსი, არის იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილებით

დამტკიცებული დებულებისა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შესახებ და კანონისა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების შემადგენლობაში შედიან სტრუქტურული ერთეულები, აგრეთვე დადგენილი წესით დამტკიცებიული მისი სტრუქტურით გათვალისწინებული საწარმოები და ორგანიზაციები. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „ტრანსავტომატიკა“ ამავე დროს არის მისი მთავარი სტრუქტურული ერთეული.

5. კოოპერაციისა და სპეციალიზაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „სპეცტრანსს“ ნება ეძლევა შეიმუშაოს, დაამტკიცოს და განახორციელოს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების გაერთიანებებსა და საწარმოებს და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ფირმებს შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის პროგრამები „2000 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის № 599 დადგენილების შესაბამისად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „სპეცტრანსს“ აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი“ მდებარეობს ქ. თბილისში.

## II· ძირითადი ამოცანები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსის“ ძირითადი ამოცანები, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებთან ერთად, არის:

8. სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოთა შესრულება, „უწყვეტი და ახალი სპეციალიზებული სახეობების ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისა და უფრო ფართოდ დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 იანვრის № 76 დადგენილებით გათვალისწინებული სპეციალური სატვირთო და სატვირთო-სამგზავრო კიდული საბაგირო და მონორელსიანი გზების, აგრეთვე სხვა სახეობათა სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების მოწყობილობის მთავარი ნიმუშებისა და საცდელი პარტიის დამზადება და დანერგვა სახელმწიფო შეკვეთებისა და შემკვეთებთან დადებული პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით.

9. კიდული საბაგირო და მონორელსიანი გზების, აგრეთვე სხვა სახეობათა სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და საავტორო ზედამხედველობის შესრულება სახელმწიფო შეკვეთებისა და პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით.

10. სამონტაჟო-გასამართავ და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა შესრულება სპეციალური ტრანსპორტის სისტემაში და ავტომატიზაციის სისტემაში სახელმწიფო შეკვეთებისა და პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით.

11. მისთვის ბალანსზე გადაცემული სამგზავრო და სატვირთო კიდული ბაგირგზების ექსპლუატაციის სამუშაოთა შესრულება და მფლობელთა მიერ სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით მისთვის გადაცემული სამგზავრო, სატვირთო-სამგზავრო და სატვირთო კიდული საბაგირო და მონორელსიანი გზების, აგრეთვე სხვა სახეობათა სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების ტექნიკური მომსახურება.

12. სამუშაოთა კოორდინაციის განხორციელება და ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება სსრ კავშირის ძნელმისადგომი მთიანი რაიონებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეციალური კიდული საბაგირო და მონორელსიანი გზების კვლევის, დამუშავებისა და დანერგვის დარგში და საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სახეობის სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების შექმნის, დანერგვისა და ათვისების დარგში.

13. სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების პროექტების ექსპერტიზის ჩატარება.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი“ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს და წარადგენს წინადადებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების საკითხებზე.

## III. ფუნქციები

ძირითადი ამოცანების შესასრულებლად, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი“:

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის № 599 დადგენილების შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო შეკვეთებისა და პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით „გასაღების“ პირობებით კიდული საბაგირო, საბაგირო-რელსიანი (ფუნიკულიორი), მონორელსიანი, კონვეიერული და სხვა სახეობათა უწყვეტი სპეციალური ტრანსპორ-

ტის, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით მათი ავტომატიზებული მართვისა და დაპროექტების სისტემების შექმნისა და დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო და გასაშვებ-გასამართავ სამუშაოთა სრული ციკლის კომპლექსური შესრულებისათვის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის საექსპლუატაციო პერსონალის კადრების მოსამზადებლად რესპუბლიკაში მთავარი ორგანიზაციისა და ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს.

ახორციელებს მისთვის ბალანსზე გადაცემული სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო კიდული ბაგირგზების ექსპლუატაციას, აგრეთვე მფლობელთა მიერ მისთვის ხელშეკრულებების მიხედვით გადაცემული სატვირთო-სამგზავრო და სატვირთო კიდული საბაგირო და მონორელსიანი გზებისა და სხვა სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებას.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა კომპლექსს ასრულებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულთა და საწარმოთა ძალებით.

16. დამოუკიდებლად გეგმავს თავის საქმიანობას, ამასთან ხელმძღვანელობს საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, აგრეთვე სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ფარგლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების ფირმებთან დადებული პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებებითა და კონტრაქტებით.

17. წარადგენს დადგენილი წესით განაცხადებს მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, მასალებსა და სხვა რესურსებზე.

18. შეიმუშავებს და ახორციელებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, საბჭოთა გამოგონებებისა და აღმოჩენების პრიორიტეტის დაცვას საავტორო მოწმობებისა და პატენტების გასაცემად განაცხადების შეტანის გზით და საჭირო შემთხვევებში ამზადებს დადგენილი წესით მასალებს საზღვარგარეთ გამოგონებათა დასაპატენტებლად.

19. ორგანიზაციას უწევს გაერთიანების მიერ დამთავრებულ სამუშაოთა დანერგვას.

20. ეწევა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, ინფორმირებას გაერთიანების მიერ განხორციელებული გამოკვლევებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

21. უზრუნველყოფს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საპატენტო მასალების შესწავლასა და ფართოდ გამოყენებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის და არსებულის სრულყოფის მიზნით.

22. გასცემს რეკომენდაციებს და ამზადებს მასალებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასა და სხვა გამოფენებზე საჩვენებ-

ლად, ორგანიზაციას უწევს და ატარებს დადგენილი წესით საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს ძირითადი საქმიანობის სახსრების ხარჯზე.

23. ახორციელებს დარგის მუშაკთათვის დაწესებული შრომის ანაზღაურების ფონდის რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს პირადი შრომის შედეგებითა და გაერთიანების მუშაობის უფრო მაღალი შედეგების მიღწევით მათი მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს ხელფასის ფონდების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას და დროულად ანგარიშსწორებას მუშაკებთან.

24. უზრუნველყოფს გაერთიანების მუშაკთა მიერ შრომის, საწარმოო, საგეგმო, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას; ახორციელებს მუშაობას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, მისი შედეგების შესაჯამებლად და გამარჯვებულთა წასახალისებლად.

25. უზრუნველყოფს დადგენილი წესით კოლექტივის სოციალური განვითარების, მათ შორის საბინაო მშენებლობის, მუშათა მომარაგების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო და კულტურული მომსახურების, მებაღეობის ამხანაგობათა განვითარების საკითხების გადაწყვეტას.

### IV. მართვა

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსის“ ხელმძღვანელობას ახორციელებს გაერთიანების მთავარი სტრუქტურული ერთეულის — სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის „ტრანსავტომატიკის“ მმართველობის აპარატი. გაერთიანების გენერალური დირექტორი ამავე დროს არის მთავარი სტრუქტურული ერთეულის — სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის „ტრანსავტომატიკის“ დირექტორი „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად და ინიშნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსის“ მართვა ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, შრომითი კოლექტივების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და სოციალისტური თვითმმართველობის შეხამების საფუძველზე ფართო საჯაროობის პირობებში.

28. გენერალური დირექტორი ერთმმართველობის საფუძველზე პასუხს აგებს სახელმწიფოსა და შრომითი კოლექტივის წინაშე გაერთიანების მთელი მუშაობის ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შედეგებისათვის.

29. გენერალური დირექტორის მოადგილეებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი სამუშაო უბნისათვის, თავიანთი კომპე-

ტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით, წარმოადგენენ მას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცენ მინდობილობანი გაერთიანების მუშაკებს.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „სპექტრანსს“ შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას საჭიროების კვალობაზე საინჟინრო ცენტრები, შემოქმედებითი კოლექტივები და სხვა ქვედანაყოფები მეცნიერულ-ტექნიკური და სპეციალური პროგრამების გადასაწყვეტად.

31. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ გაერთიანების მიერ დამტკიცებულ დებულებათა საფუძველზე, ხოლო საწარმოები — წესდებათა საფუძველზე. გაერთიანების სტრუქტურის ცვლილებებს ამტკიცებს გენერალური დირექტორი.

### V. აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსი“ ახორციელებს მუშაობის შედეგების აღრიცხვას, კონტროლს წარმოების მიმდინარეობისადმი, აწარმოებს ოპერატიულ, საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას დადგენილი წესით.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსი“ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და სტრუქტურულ ერთეულთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური რევიზიების ჩატარებას. უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის განუხრელ დაცვას და მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად განხილვასა და შესრულებას.

### VI. გაერთიანების ქონება და სახსრები

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსის“ ქონება შედგება ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე გაერთიანებისათვის მიჩენილი ფონდებისა და სხვა ქონებისაგან.

გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსში“ იქმნება ფონდები და რეზერვები სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. საქმიანობის შეწყვეტა

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპექტრანსი" წყვეტს თავის საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

---

## 3 პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ

აჭარის ასსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შესწავლის, კონსერვაციის, რესტავრაციისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს წინადადება და აღნიშნული სამმართველოს სისტემაში შეიქმნას პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

2. მუზეუმ-ნაკრძალი გაიხსნას 1991 წელს მისი მუშაობის ჯეროვანი პირობების მომზადების შემდეგ. ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით განახორციელოს ღონისძიებანი მუზეუმ-ნაკრძალის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომპლექსის საექსკურსიოდ მომზადების, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გაწმენდისა და არქეოლოგიური შესწავლის უზრუნველსაყოფად, კადრების შესარჩევად და მოსამზადებლად. 1989 წელს გამოიყოს მუზეუმ-ნაკრძალის დაარსების საორგანიზაციო-მოსამზადებელი პერიოდისათვის დირექტორის, ერთი მეცნიერი თანამშრომლისა და ორი ძეგლის მცველის შტატები.

3. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად სათანადო უწყებებთან შეთანხმებით:

— 1989-1990 წლებში შეიმუშაონ და განახორციელონ პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დაცვითი და მოქმედების ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების, აგრეთვე საექსკურსიო-ტურისტული საქმიანობის ღონისძიებანი იმის გათვალისწინებით, რომ მუზეუმ-ნაკრძალს დაეკისრება აჭარის ასსრ ტერიტორიაზე ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია;

— 1989 წელს შეიმუშაონ და დაამტკიცონ მუზეუმ-ნაკრძალის დებულება. პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალის სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ერთად დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

4. ცეკავშირმა არსებული წესის შესაბამისად გადასცეს პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალს რესტორან „ციხისძირის“ შენობა დირექციის მოსათავსებლად, ექსპოზიციისა და ფონდსაცავის მოსაწყობად. შენობა გადაეცეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ცეკავშირისათვის ტოლფასი ფართობის გამო-

ეროვნული

ყოფის შემდეგ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 11 ივლისის № 467 დადგენილების შესაბამისად — ამ რესტორნის საქონელბრუნვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარდგენილი დასაბუთებული გაანგარიშების მიხედვით განიხილონ საკითხები პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალისათვის აღნიშნული ვადების მიხედვით შტატებისა და მათი შენახვის ხარჯების, მცირე მოცულობის ციცხვიანი ექსკავატორის, ერთი მსუბუქი ავტომობილის, აგრეთვე 1989-1993 წლებში მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიისა და მისი დაცვის ზონის არქეოლოგიური შესწავლის სამუშაოებისათვის 30-30 ათასი მანეთისა და შესაბამისი ხელფასის ფონდის გამოსაყოფად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 17 იანვარი, 1989 წ. № 18

## 4 სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოების მიერ მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:**

შეტანილ იქნეს „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 სექტემბრის № 614 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოების მიერ მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციის მე-3 პუნქტში ნაწილობრივი ცვლილება და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ნისიად მისაყიდი საქონლის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ცეკავშირის გამგეობისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციების წარდგენით, ამასთან წინასწარ უთანხმებს ნუსხას სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 25 იანვარი, 1989 წ. № 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის პატენტების გაცემის წესის შეცვლის შესახებ

„პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და მომსახურების გაწევის კოოპერატივებში მომუშავე მოქალაქეთა დაბეგვრის, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გასაწევად პატენტების გაცემის წესის შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 14 მარტის ბრძანებულების შესაბამისად „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში ცვლილებათა შეტანასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი, რომელთა გასაწევად მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ პატენტები, აგრეთვე პატენტის ყოველწლიური სასყიდლის ოდენობა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონებისათვის, გარდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონებისა, 1989 წლის 1 იანვრიდან დაადგინონ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონებისათვის პატენტის ყოველწლიური სასყიდლის ოდენობის, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის იმ სახეობათა დადგენის წესი, რომელთა გასაწევად მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ პატენტები, განსაზღვრონ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლის შესახებ მონაცემების გასაანალიზებლად და შესაბამისად პატენტის სასყიდლის ოპტიმალური ოდენობის განსასაზღვრავად, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის იმ სახეობათა დასადგენად, რომელთა გასაწევად უნდა გაიცეს პატენტები;

— პატენტის სასყიდლის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინონ სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში მონაწილეობის ინტენსიურობა და ამ საქმიანობიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალი.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 14 მარტის ბრძანებულების შესაბამისად უფლება მიეცეთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს აუცილებლობის შემთხვევაში შეუმცირონ ცალკეულ მოქალაქეებს პატენტის სასყიდელი, აგრეთვე გაათავისუფლონ ისინი პატენტის სასყიდლისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— დაუგზავნოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მეთოდური მითითებანი პატენტის სასყიდლის განსაზღვრის, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვა საკითხების შესახებ;

— პერიოდულად შეისწავლოს პატენტების სასყიდლის შესაბამისობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან.

5. 1989 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 აპრილის № 198 დადგენილების მე-4 პუნქტი და ამ დადგენილების № 1 დანართი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობათა და პატენტის სასყიდლის ოდენობის ნაწილში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 15 აპრილის № 198 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სარეგისტრაციო მოწმობებისა და პატენტების გაცემის შესახებ“ თავისა მესამე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჭერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 30 იანვარი, 1989 წ. № 41

## 6 საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებისა და აღნიშნული კომიტეტის სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის მოდერნიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 24 მარტის № 376 დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვის წინადადება და შეიქმნას საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმა „საქაგროიმპექსი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა:

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს დებულება სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმა „საქაგროიმპექსის“ შესახებ და შეუთანხმოს იგი სსრ კავშირის სახაგრომრეწვს;

— დაამტკიცოს სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმა „საქაგროიმპექსის“ წესდება.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმა „საქაგროიმპექსის“ საშტატო რიცხოვნობა 11 ერთეულის რაოდენობით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის საერთო საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში.

სამეურნეოანგარიშიანი საგარეო ეკონომიკური ფირმა „საქაგროიმპექსის“ მუშაკთა შრომა ანაზღაურდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 22 დეკემბრის № 1526 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 30 იანვარი, 1989 წ. № 42

## 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 აგვისტოს № 367 დადგენილების შესასრულებლად დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა ზემოაღნიშნული გაერთიანების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 30 იანვარი, 1989 წ. № 43

საქ. სსრ კ. მარქს
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 იანვრის № 43 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების*) შესახებ

### I. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ საქმიანობის ძირითადი ამოცანები და პრინციპები

1. 1. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი“ არის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურული რგოლი და წარმოადგენს ერთიან სამეცნიერო-საწარმოო და სამეურნეო კომპლექსს, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოსახლეობის გაჯანსაღებას სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციისა და დასვენების ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფის გზით, ამასთან გამოიყენოს ამ მიზნით ძირითადად კურორტების ბუნებრივი ფიზიკური ფაქტორები და თერაპიის სხვა მეთოდები მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

1. 2. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ შემადგენლობაში შედიან როგორც საკურორტო, სანატორიული, სამკურნალო და ტურისტული დაწესებულებანი, ისევე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სარეკლამო, სამშენებლო-სამონტაჟო, საწარმოო, სატრანსპორტო, მომარაგება-გასაღებისა და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ერთიანდებიან საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის კონცენტრაციისათვის.

1. 3. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— შეისწავლოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება როგორც მოზრდილთა, ისევე ბავშვთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობაზე, პროფილაქტიკასა და რეაბილიტაციაზე, სხვადასხვა სამედიცინო პროფილის საკურორტო დაწესებულებათა შემდგომი მშენებლობის მოცულობის განსაზღვრისა და ამის საფუძველზე საქართველოს სსრ ადგილობრივი კურორტების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმების შედგენის მიზნით;

— განახორციელოს ფართო საძიებო სამუშაოები ახალი საკურორტო რესურსების (ჰიდრომინერალური და კლიმატური) გამოსავლენად და არსებულის დასაზუსტებლად;

— ვაუწიოს ავადმყოფთა და დამსვენებელთა როგორც ორგანიზებულ, ისევე არაორგანიზებულ კონტინგენტს ყოველგვარი სამედიცინო დახმარება, მკურნალობა და რეაბილიტაცია, აგრეთვე შექმნას დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნებისათვის შესაბამისი პირობები;

---

*) შემდგომში ტექსტში აღინიშნება შემოკლებით: რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი“

მუხ. 7
ეროვნული

— უზრუნველყოს საკურორტო ფაქტორთა რაციონალური გამოყენების სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მიზნით, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა გაჭუჭყიანების, დამრეტისა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევისაგან, კურორტების სანიტარიული ზონების შესახებ კანონმდებლობის მკაცრი დაცვა;

— უზრუნველყოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტში" შემავალ დაწესებულებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების კეთილდღეობის ზრდა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

1. 4. მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" უზრუნველყოფს:

— საკურორტო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას და საკურორტო მკურნალობისა და მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვის საფუძველზე;

— სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა და საწარმოო სიმძლავრეთა რაციონალურ განლაგებასა და განვითარებას, გარემოს დაცვისათვის ქმედით ღონისძიებათა განხორციელებას;

— სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას;

— სამუშაოთა და მომსახურების ასორტიმენტისა და ხარისხის აყვანას საერთაშორისო ნიმუშების დონემდე, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას საზღვარგარეთელ პარტნიორებთან კავშირის ურთიერთხელსაყრელი ფორმების გამონახვისა და სავალუტო თვითანაზღაურების საფუძველზე;

— გაერთიანებაში შემავალ ქვეგანაყოფთა შრომითი კოლექტივების სოციალურ განვითარებას, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველმყოფი პირობების შექმნას, მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლებას, მათ სწავლებასა და ხელახლა სწავლებას;

— სოციალური სფეროს ერთიანი მატერიალური ბაზის ფორმირებას;

— საკურორტო დაწესებულებათა დაკომპლექტებას კვალიფიციური კადრებით, მათ მომზადებასა და გადამზადებას.

1. 5. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" თავის საქმიანობას ახორციელებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე. ხელმძღვანელობს რა დაწესებული სახელმწიფო შეკვეთებითა და საკონტროლო ციფრებით, აგრეთვე ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, იგი ორგანიზაციას უწევს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებას და უმტკიცებს მათ ამ გეგმებს.

1. 6. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" აერთიანებს როგორც საწარმოო ქვედანაყოფებს, რომლებიც მოქმედებენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, ისევე სანატორიულ-საკუ-

როორტო და სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელთა ნაწილი მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე, ხოლო სხვა ნაწილი იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" თანამიმდევრულად ნერგავს მეურნეობის გაძღოლის მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წამგებიან დაწესებულებათა გადაქცევას მომგებიანად, მათ გადაყვანას მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე.

1. 7. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" ქონება შედგება მისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვებისაგან გაერთიანების ცენტრალური აპარატისათვის მიჩენილ სხვა ფულად სახსრებთან და მატერიალურ საშუალებებთან ერთად.

1. 8. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" არის იურიდიული პირი, აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკების დაწესებულებებში, შეადგენს ანგარიშგებას და წარუდგენს მას ზემდგომ ორგანოებს დადგენილი წესით.

1. 9. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" მთელ თავის საქმიანობას ახორციელებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე და იღებს ზომებს მისი განმტკიცებისათვის თავის შემადგენლობაში შემავალ დაწესებულებებში, საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში.

1. 10. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი" პასუხს არ აგებს საქვეუწყებო დამოუკიდებელ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ვალდებულებებისათვის, ისევე როგორც ეს უკანასკნელნი პასუხს არ აგებენ გაერთიანების ვალდებულებებისათვის.

## 2. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" მართვა

2. 1. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" მართვა ხორციელდება მართვის დემოკრატიული ფორმებისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე გაერთიანებაში შემავალი ყველა დამოუკიდებელი სამეურნეო ქვედანაყოფის ერთიანი კომპლექსური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით მათი დამოუკიდებლობისა და უფლებების შეუბღალავად სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. 2. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" მართვის უმაღლესი ორგანოა დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან საქვეუწყებო დამოუკიდებელ საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. საბჭოს სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელსაც ირჩევს საბჭო 5 წლის ვადით და ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

2. 3. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" დირექტორთა საბჭო:

— უშუალოდ მონაწილეობს გაერთიანების ეკონომიკური ფუნქციონირების, საკურორტო მომსახურების ყველაზე ეფექტიანი გზების შერჩევის სა-

ეროვნული

კითხთა გადაწყვეტაში, განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიმართულებებსა და პერსპექტივებს;

— განიხილავს დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს, რომლებიც არჩეული უნდა იქნენ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე, და რეკომენდაციას აძლევს მათ დადგენილი წესით დასამტკიცებლად;

— ამტკიცებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდს;

— განსაზღვრავს ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯვის მიმართულებებს;

— განიხილავს საქვეუწყებო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შექმნის, გარდაქმნის ან გაუქმების საკითხებს დადგენილი წესით, შექმნის სახელშეკრულებო საფუძველზე ერთობლივ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს;

— უფლება აქვს განიხილოს გენერალური დირექტორის ვადამდე გადარჩევის საკითხი და შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესაბამისი წინადადება.

2. 4. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ მმართველობის აპარატის ფუნქციები ეკისრება მმართველობის აპარატს, რომლის შენახვა ხორციელდება გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ანარიცხების ხარჯზე.

2. 5. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს ახორციელებს გენერალური დირექტორი, რომელიც დირექტორთა საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკურორტს“ ერთმმართველობის პრინციპებზე.

2. 6. გენერალურ დირექტორსა და დირექტორთა საბჭოს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა როგორც საერთოდ რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“, ისევე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის.

2. 7. გენერალური დირექტორი წარმოადგენს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ინტერესებს ყველა დონეზე მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს გაერთიანებისათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებითაც), ხსნის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს ბანკებში.

2. 8. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ გენერალური დირექტორი:

— ანაწილებს მოვალეობებს თავის მოადგილეთა შორის, კოორდინაციას უწევს და წარმართავს მუშაობას, ორგანიზაციას უწევს მმართველობის აპარატის საქმიანობას;

— ამტკიცებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ მმართველობის აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს, მის საშტატო გან-

რიგს, უნიშნავს ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რაოდენობის თანაფარდობისა და ნორმების გაუთვალისწინებლად, აწესებს თანამდებობრივი სარგოების დანამატებს, იღებს ზომებს მმართველობის აპარატის მუშაკთა მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის დადგენილი წესით.

2.9. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ დამოუკიდებელი სამეურნეო ქვედანაყოფების, აგრეთვე მისი მმართველობის აპარატის წარმომადგენელთაგან გაერთიანებაში 2 წლის ვადით იქმნება შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც თავის შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. დირექტორთა საბჭოს წევრი არ შეიძლება არჩეულ იქნეს შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭოს თავმჯდომარედ.

შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო განიხილავს დირექტორთა საბჭოს, მმართველობის აპარატისა და მთელი რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ საქმიანობის შედეგებს, შეაქვს წინადადებანი და რეკომენდაციები მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის ასამაღლებლად, უზრუნველყოფს გაერთიანების მუშაობის ამსახველი ინფორმაციის გაცნობას დაწესებულებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივებისათვის, აყენებს დირექტორთა საბჭოს წინაშე საკითხებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.

შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

დირექტორთა საბჭო მოვალეა გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭოს რეკომენდაციები და წინადადებანი.

**3. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი**

3. 1. დაგეგმვის დარგში:

— შეიმუშავებს რესპუბლიკის კურორტების განვითარების პროგნოზებსა და პერსპექტიულ გეგმებს საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით;

— შეიმუშავებს და უთანხმებს რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს დადგენილი წესით დარგის განვითარების საკონტროლო ციფრებს, უგზავნის მათ საქვეუწყებო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

— ანაწილებს სახელმწიფო შეკვეთებს (მათ შორის საკონკურსო საფუძველზეც);

— ამტკიცებს საქვეუწყებო სამეურნეო ქვედანაყოფებისათვის ხანგრძლივ ეკონომიკურ ნორმატივებს (მათ შორის რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ცენტრალიზებულ ფონდსა და რეზერვებში ანარიცხების ნორმატივებს) და მათი ხარჯვის მიმართულებებს;

ეროვნული

— აწესებს კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე (სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის შესაბამისად) და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტებს;

— მის შემადგენლობაში შემავალ დამოუკიდებელ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ხუთწლიან (წლების მიხედვით დაყოფილ) გეგმებს.

გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მის შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ინტერესების შეხამებას საერთო-სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ ინტერესებთან.

3. 2. კაპიტალური მშენებლობის დარგში:

— შეიმუშავებს და ახორციელებს ეფექტიან საინვესტიციო პოლიტიკას როგორც მთელი საკურორტო ქსელის, ისევე ცალკეული კურორტებისა და საკურორტო ობიექტების განვითარების ამოცანების შესაბამისად;

— ორგანიზაციას უწევს როგორც ახალი სანატორიულ-საკურორტო და სხვა ობიექტების მშენებლობის, ისევე არსებულის რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის პროექტების შემუშავებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

— ადგენს კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიან და წლიურ გეგმებს, ამასთან უზრუნველყოფს არსებული სანატორიულ-საკურორტო და საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და გაფართოების სამუშაოთა პირველ რიგში განხორციელებას;

— ანაწილებს საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შორის კაპიტალური მშენებლობის მოცულობებს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ახორციელებს კონტროლს მათი ეფექტიანი გამოყენებისადმი;

— ითვალისწინებს გეგმებში საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა წინადადებებს მათი საკუთარი სახსრების ხარჯზე დასაფინანსებელ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შესახებ;

— აკონტროლებს ობიექტების დროულად ამოქმედებას და დაპროექტებულ სიმძლავრეთა დაწესებულ ვადაში ათვისებას;

— განავითარებს მშენებლობის წარმოებას სამეურნეო წესით;

— ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტისათვის“ საერთო საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

3. 3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში:

— უზრუნველყოფს ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას თავის სისტემაში;

ეროვნული

— ახორციელებს არსებული მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს;

— იღებს ზომებს სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, აგრეთვე მონაწილეობს დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების მუშაობაში;

— უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ქვედანაყოფთა ლაბორატორიულ-კვლევითი და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცებას;

— განსაზღვრავს ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ოდენობას, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის კონკრეტული თემების შემუშავებას ხმარდება, ანაწილებს შეკვეთებს და დებს ხელშეკრულებებს მათ შესასრულებლად;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას საგამომგონებლო, საპატენტო-სალიცენზიო და რაციონალიზატორული საქმიანობის, სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის, გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა დანერგვის სრულყოფისათვის.

3. 4. კურორტებზე მკურნალობის, რეაბილიტაციის, პროფილაქტიკისა და დასვენების ორგანიზაციის დარგში:

— შეიმუშავებს რესპუბლიკის კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებს, აპრობაციას უწევს მათ და ახორციელებს დანერგვას;

— სამეცნიერო-მეთოდიკურ და საკონსულტაციო დახმარებას უწევს სანატორიულ და სამკურნალო დაწესებულებებს;

— განავითარებს რესპუბლიკის კურორტებზე ავადმყოფთა და დამსვენებელთა არაორგანიზებული კონტინგენტის სამედიცინო მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სპეციალიზებულ სამეურნეოანგარიშიან სამედიცინო დაწესებულებათა ქსელს.

3. 5. საკურორტო ქსელის განვითარებისა და ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვის დარგში:

— ახორციელებს ჰიდროგეოლოგიურ, კლიმატოლოგიურ, გეოფიზიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ და სხვა გამოკვლევებს სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ჯგუფისათვის ბუნებრივი რესურსების მისაკუთვნებლად;

— შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სამთო-სანიტარიული დაცვის ზონებს;

— დაამოწმებს რესპუბლიკის კურორტების შესამუშავებელ გენერალურ გეგმებს, მათი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს, სამთო-სანიტარიული დაცვის საზღვრებს და მათი რეჟიმების ზონებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

— დაამოწმებს საქართველოს სსრ კურორტებზე და საკურორტო ადგილებში საკურორტო მკურნალობისა და დასვენების დაწესებულებათა ორგანიზაციისა და მშენებლობის მიზანშეწონილობას;

ეროვნული

— დაადასტურებს საკურორტო მკურნალობის დაწესებულებების ლეგა-ლიზაციას (სამედიცინო პროფილს);

— იძლევა დასკვნებს მომხმარებელ დაწესებულებათა მიერ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მთელი საკურორტო-სარეკრეაციო რე-სურსებისა და ფაქტორების გამოყენების მოცულობაზე;

— სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზე-დამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის რე-გიონალურ ორგანოებთან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამი-ნისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურთან ერთად მონაწილეობს დაწესებული სამთო-სანიტარიული რეჟიმების დაცვისადმი კონტროლის გან-ხორციელებასა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესრულებაში.

**3. 6. ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში:**

— ახორციელებს საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურ-ნეო ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას და უზრუნველყოფს მათ გადასვლას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინ-ციპით მუშაობაზე;

— ახორციელებს ღონისძიებებს დროებით ზარლიან ქვედანაყოფთა და-საფინანსებლად ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების ხარჯზე ხუთ-წლიან გეგმაში პროგრესული შემცირებით დაწესებული დოტაციის ლიმიტის ფარგლებში;

— ზარალიან ქვედანაყოფთა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გა-ჯანსაღების მიზნით უფლება აქვს გამოიყენოს მათ მიმართ სახელმწიფო საწარ-მოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პრინციპების შესაბამისი ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებანი;

— საფინანსო გეგმების ფორმირებისას უზრუნველყოფს საკუთარი და მიზიდული საფინანსო და საკრედიტო რესურსების დაბალანსებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის მაჩვენებლებთან;

— მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, დაწესებულებათა და სა-მეურნეო ორგანიზაციათა ანარიცხების, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც შექმნი-ლია კურორტთა დირექციები, დადგენილი წესით გადასახდევინებელი საკუ-რორტო გამოსაღების ხარჯზე შექმნილი სახსრების გამოყენებით ქმნის ცენტ-რალიზებულ ფონდსა და რეზერვებს, რომლებსაც დამტკიცებული ხარჯთაღ-რიცხვის შესაბამისად იყენებს სანატორიულ-საკურორტო, სამეცნიერო-ტექნი-კური და სოციალური დანიშნულების ღონისძიებათა განსახორციელებლად, უზრუნველყოფს ცენტრალიზებული სახელმწიფო საფინანსო სახსრების ეფექ-ტიან გამოყენებას. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ცენტრალი-ზებული ფონდისა და რეზერვების გამოუყენებელი ნაშთები გადის მომდევნო წელს და არ ჩამოერთმევა;

— ხელს უწყობს თავისი დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებე-ბისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრე-ბისა და ბანკის კრედიტების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და კონტ-როლს უწევს დაკრედიტების ძირითადი პრინციპების შესრულებას მათ მიერ;

— ახორციელებს მუშაობას რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ შემადგელობაში შემავალი დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ფასწარმოქმნისათვის და კონტროლს უწევს ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვას მათ მიერ;

— ახორციელებს კონტროლს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო საქმიანობისადმი, მათ მიერ საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისადმი;

— უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრებისა და ეკონომიის რეჟიმის დაცვას.

3. 7. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ შემადგენლობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ ისინი დამოუკიდებლად — პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობისა და საბითუმო ვაჭრობის საფუძველზე. ლიმიტებისა და ფონდების მიხედვით გასანაწილებელი რესურსები გამოეყოფა რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკურორტს“, რომელიც ახდენს მათ გადანაწილებას თავის საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა შორის მათი მოთხოვნილებების შესაბამისად.

ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული წესით ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა შეძენის ანგარიშსწორებისათვის რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკურორტს“ უფლება აქვს გახსნას სპეცსასესხო (სპეციალური საანგარიშსწორებო) ანგარიშები სსრ კავშირის სახბანკის განყოფილებებში.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტსა“ და საქვეუწყებო სამეურნეო ორგანიზაციებს შორის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში ურთიერთობის ხასიათი უნდა გადაისინჯოს წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობასა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არაფონდირებულ მიწოდებაზე გადასვლის მიხედვით.

რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკურორტს“ უფლება აქვს:

— შეიძინოს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გასცეს, უსასყიდლოდ მისცეს — დროებით სარგებლობაში ან სესხად — როგორც თავის, ისევე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოსწეროს ბალანსიდან, თუ ისინი გაცვდა ან მორალურად დაძველდა და აღდგენა ან რეალიზაცია შეუძლებელია;

— ორგანიზაცია გაუწიოს იმ პროდუქციის, მომსახურებისა და სამუშაოთა რეკლამასა და გასაღებას, რასაც აწარმოებენ მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სისტემის შიგნით გამოსაყენებლად საჭირო მოცულობის გადამეტებით, მომხმარებელთა პირდაპირი შეკვეთების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 8. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის დარგში:

— ამზადებს და ახორციელებს წინადადებებს უცხოეთის, უპირატესად სოციალისტური ქვეყნების, ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, იმ მიზნით, რომ შემდგომ დადოს დადგენილი წესით შესაბამისი ხელშეკრულებანი და კონტრაქტები საკურორტო-გამაჯანსაღებელი, სამკურნალო-ტურისტული ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის თაობაზე;

— ახორციელებს კონტროლს იმპორტული მოწყობილობის შესყიდვის საკითხთა დამუშავების, მათი მიღების, შენახვის, საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის;

— იღებს ზომებს პირდაპირი ურთიერთობის, საერთაშორისო კოოპერაციის, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სხვა პროგრესული ფორმების ფართოდ განვითარებისათვის, რესპუბლიკის შესაბამისი ზემდგომი ორგანოების ნებართვით ქმნის დადგენილი წესით საგარეო ვაჭრობის სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებს, ერთობლივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს და მონაწილეობს მათს საქმიანობაში მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით;

— მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების თანხმობით, რომლებიც მათ მიერ მიღებული სავალუტო სახსრების გამანაწილებელი არიან, შეუძლია ნაწილობრივ გააერთიანოს მათი სავალუტო ანარიცხების ფონდების სახსრები, ამასთან შექმნას გაერთიანების ცენტრალიზებული სავალუტო ფონდი ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციის, წარმოების გაფართოების, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა სამუშაოების განსახორციელებლად მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და სხვა საქონლის ერთობლივად შესყიდვისათვის, აგრეთვე გადასცეს ამ ფონდის სახსრები ურთიერთხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებს, სამინისტროებს, უწყებებსა და ბანკებს როგორც სსრ კავშირში, ისევე საზღვარგარეთ.

3. 9. შრომისა და სოციალური განვითარების დარგში:

— ახორციელებს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დადგენილი წესით ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადება-გადამზადების ერთიან სისტემას, ქმნის სასწავლო კომბინატებს, კურსებსა და ცენტრებს;

— ახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელი კადრების რეზერვის შესაქმნელად, ატარებს მათს ატესტაციას;

— კონტროლს უწევს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის" შემადგენლობაში შემავალ საწარმოებში, სამმართველოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნიშნავს მოქმედი წესის შესაბამისად საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს დანამატებს მაღალი შრომითი მიღწევებისათვის ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამისი საწარმოს, დაწესებულებისა და სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციის ხელფასის საერთო ფონდის ხარჯზე;

— ამტკიცებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით დებულებებს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების შესახებ;

— ხელს უწყობს კოოპერატივების, მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას.

3. 10. აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის დარგში:

— ახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა საწარმოო და სამეურნეო საქმიანობისადმი, უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ანალიზსა და რევიზიას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნებას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

— იღებს დადგენილი წესით საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებასა და უტყუარობას;

— ახორციელებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს.

მუშაობის კონტროლისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭო.

## 4. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ შექმნა, გარდაქმნა და გაუქმება

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტი“ შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 აგვისტოს № 367 დადგენილების შესაბამისად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების შესასრულებლად, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სრული და შემოკლებული დასახელება.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ გარდაქმნა და გაუქმება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

8

## საქართველოს სსრ სახმშენის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 ნოემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საქართველოს სსრ სამშენებლო კომპლექსის მართვის გენერალური სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 ნოემბრის № 553 დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თანხმობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახმშენის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად (საქართველოს სსრ სახარქიტექტურა).

საქართველოს სსრ სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის რიცხოვნობა განისაზღვროს საქართველოს სსრ სახმშენის საერთო რიცხოვნობის ფარგლებში.

2. საქართველოს სსრ სახმშენმა ერთი თვის ვადაში განიხილოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების პროექტი.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს იყოლიოს თავმჯდომარის სამი მოადგილე (მათ შორის ერთი პირველი მოადგილე) და კოლეგია 9 კაცის შემადგენლობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 ნოემბრის № 553 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად:

— ამოღებულ იქნეს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატის სტრუქტურიდან სიტყვები: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველო" და დაემატოს მას სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ნუსხის შემდეგი სიტყვები: „კომიტეტთან არსებობს საქართველოს სსრ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი";

— ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სამშენებლო კომპლექსის მართვის გენერალური სქემის პირველ სვეტში სიტყვები: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მთავარი სამმართველო" შე-

ეროვნული

იცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 8 თებერვალი, 1989 წ. № 70

## 9 საქართველოს სს რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო-სამეცნიერო ცენტრისა და მეაბრეშუმეობის მუზეუმის შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის ტრადიციების შესწავლის, განვითარება-დამკვიდრების და მის წინაშე დასახული საღღეისო ამოცანების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის მთავარი საწარმოო-სამეცნიერო ცენტრი.

2. მიღებულ იქნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საუნივერსიტეტო საზოგადოების საბჭოს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან, და გადაეცეს მეაბრეშუმეობის მთავარ საწარმოო-სამეცნიერო ცენტრს თბილისის ტელმანის ქ. № 6 შენობა, რომელიც საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ეკუთვნის, და ამ შენობაში არსებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის მუზეუმი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გადასცეს მეაბრეშუმეობის მთავარ საწარმოო-სამეცნიერო ცენტრს აღნიშნული შენობიდან გატანილი საქართველოს მეაბრეშუმეობის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და ინვენტარი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის მთავარმა საწარმოო-სამეცნიერო ცენტრმა გადაუხადოს საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს თბილისის ტელმანის ქ. № 6 შენობის კაპიტალური რემონტისათვის გაწეული ხარჯები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა მეაბრეშუმეობის მთავარი საწარმოო-სამეცნიერო ცენტრი ჩამოაყალიბოს მეაბრეშუმეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების, მცხეთის რაიონის მთავარი პარკსაშრობის, ვაშლიჯვრის თუთისა და აბრეშუმხვევის მავნებელდაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ლაბორატორიის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის

ბაზაზე იმ ვარაუდით, რომ იგი იქცეს მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინების, მისი განვითარების ხელშემწყობ კულტურულ-საგანმანათლებლო და [illegible] კული საქმიანობის ნამდვილ კერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის მთავარმა საწარმოო-სამეცნიერო ცენტრმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან შეთანხმებით საკუთარი სახსრებით განახორციელოს შენობის რემონტი და რესტავრაცია, ხოლო აღნიშნულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ — მუზეუმის რეექსპოზიცია. მოაწყოს მუზეუმის შენობაში აბრეშუმხვევის ახალი პერსპექტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების მუდმივი საჩვენებელი გამოკვება.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის მთავარმა საწარმოო-სამეცნიერო ცენტრმა რესპუბლიკაში აბრეშუმის მწარმოებელი მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მისი სისტემის საგრენაჟო ქარხნებისა და მთავარი პარკსაშრობების წარმომადგენლების, აგრეთვე ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მეაბრეშუმეობის დარგისა და მისი მონათესავე წამყვანი მეცნიერ-მუშაკების ფართო მონაწილეობით შექმნას საწარმოო-სამეცნიერო საბჭო, რომელიც პერიოდულად განიხილავს მეაბრეშუმეობის განვითარების ძირეულ საკითხებს, მათ შორის ქვეყნისა და რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ გამოყვანილი აბრეშუმხვევისა და თუთის ახალი პერსპექტიული ჯიშების დანერგვის, მაღალხარისხოვანი გრენის, აბრეშუმის პარკის წარმოებისა და მისი გადამუშავების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, მეაბრეშუმეთა პროფესიული დასტატების, კოლექტიური და საოჯახო იჯარის, დარგის თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპის გაღრმავებისა და განმტკიცების საკითხებს.

7. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეაბრეშუმეობის მთავარმა საწარმოო-სამეცნიერო ცენტრმა, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ყოველწლიურად შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად თუთის ახალი პლანტაციების გაშენების, აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და ნედლი აბრეშუმის პარკის წარმოებაში რესპუბლიკის რაიონების მიხედვით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის მთავარმა საწარმოო-სამეცნიერო ცენტრმა უზრუნველყოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინადადების მიხედვით თელავის საგრენაჟო ქარხნის, გურჯაანის რაიონის კოლაგის მეთუთეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობისა და ნატახტარის პარკსაშრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად მოწყობა სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის, რომ ინსტიტუტს შესაძლებლობა მიეცეს მოამზადოს წარმოებასდაუფლებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

9. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა გააშუქონ მეცნიერების მიღწევათა კოლექტიური და ოჯახური იჯარის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, პერიოდულად გააშუქონ სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის შრომის სამაგალითო შედეგები.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოსთან ერთად განიხილონ ქ. თბილისში სპორტულ მიღწევათა მუზეუმის ახალი შენობის ასაგებად შესაფერისი ადგილისა და საჭირო სახსრების გამოყოფის ან სხვა სამაგიერო ფართობის გამოძებნის საკითხი.

11. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 აგვისტოს № 1114 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 8 თებერვალი, 1989 წ. № 71

## 10 ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების და მედიკამენტების ხარჯვის ნორმების შესახებ

„ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების და მედიკამენტების ხარჯვის ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის № 1441 დადგენილების თანახმად 1989 წლის 1 იანვრიდან ხარჯვის საანგარიშო ფულადი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს ხანდაზმულთა და მოზრდილ ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, პროფტექსასწავლებელ-ინტერნატებისა და ტექნიკუმ-ინტერნატების ინვალიდთა კვებისათვის — ერთ კაცზე დღეში 1 მანეთი და 60 კაპიკი, მედიკამენტების შესაძენად — 26 კაპიკი.

2. დამტკიცდეს კვების პროდუქტების ხარჯვის ნორმები ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 14 თებერვალი, 1989 წ. № 77

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 თებერვლის № 77 დადგენილების დანართი

# ნ ო რ მ ა

## კვების პროდუქტების ხარჯვისა ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში

| | ხანდაზმულთა და მოზრდილ ინვალიდთა საერთო ტიპის სახლ-ინტერნატები (გრამი) | ფსიქონევროლოგიური ინტერნატები, პროფტექსასწავლებელ ინტერნატები ტექნიკუმ-ინტერნატები ინვალიდებისათვის (გრამი) |
|---|---|---|
| პური ჭვავის | 150 | 300 |
| პური ხორბლის | 150 | 300 |
| ფქვილი ხორბლის | 20 | 20 |
| ფქვილი კარტოფილის | 2 | 5 |
| ბურღული, პარკოსანი, მაკარონის ნაწარმი | 65 | 100 |
| შაქარი, თაფლი, კანფეტი | 60 | 60 |
| კარტოფილი | 400 | 500 |
| ბოსტნეული სულ | 650 | 650 |
| მათ შორის: | | |
| ჭარხალი | 120 | 120 |
| სტაფილო | 90 | 90 |
| კომბოსტო | 240 | 240 |
| ხახვი | 60 | 60 |
| სხვადასხვა ბოსტნეული | 140 | 140 |
| ხილი ახალი, კენკრა, ციტრუსები | 280 | 110 |
| წვენები | 100 | 100 |
| ხილი ხმელი | 30 | 30 |
| ხორცი | 130 | 130 |
| თევზი, ზღვის პროდუქტი | 100 | 100 |
| რძე | 200 | 200 |

ეროვნული

| | ხანდაზმულთა და მოზრდილ ინვალიდთა საერთო ტიპის სახლ-ინტერნატები (გრამი) | ფსიქონევროლოგიური ინტერნატები, პროფტექსასწავლებელ ინტერნატები, ტექნიკუმ-ინტერნატები ინვალიდებისათვის (გრამი) |
|---|---|---|
| რძის მჟავე პროდუქტები | 200 | 200 |
| ხაჭო ნაკლებცხიმიანი | 50 | 200 |
| ყველი | 10 | 50 |
| არაჟანი | 15 | 10 |
| კარაქი | 20 | 15 |
| ცხიმი ცხოველის | 5 | 35 |
| ზეთი მცენარეული | 25 | 15 |
| მარგარინი | 10 | 10 |
| კვერცხი (ცალი) | 0,3 | 1 |
| ჩაი | 1 | 1 |
| ყავა | 2 | — |
| კაკაო | 3 | 3 |
| მარილი | 6 | 15 |

**შენიშვნა:** სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ცვლილებების ცხრილის თანახმად, დაწესებულებას აუცილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს შეცვალოს ერთი პროდუქტი მეორით, ასევე შეუძლია პურის, კარტოფილის ან ბურღულის ყოველდღიური ნორმის გადიდება კვების საანგარიშო ფულადი ნორმების ფარგლებში ახალი ხილისა და წვენის გაცემის შემცირების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11 ლანჩხუთის სატყეო მეურნეობის აღდგენის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და ლანჩხუთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თხოვნა და აღდგენილი იქნეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ლანჩხუთის სატყეო მეურნეობა.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 23 აგვისტოს № 383 დადგენილების დანართის ნაწილში „საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები“ და დაემატოს „ლანჩხუთის სატყეო მეურნეობა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 14 თებერვალი, 1989 წ. № 79

## 12 საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს 1989 წლის 1 მარტიდან ინსტრუქცია საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ და მისთვის თანდართული სსრ კავშირის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის ნუსხა, საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმა, ტოპოგრაფიული გეგმის ასლის წარწერის ნიმუში, საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიზომილი სამთო ნაკვეთების აღრიცხვის წიგნის (რეესტრის) და რეგისტრაციის წიგნის, სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ ცნობის ფორმები.

2. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა აუკრძალონ, მოყოლებული 1990 წლიდან, საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა შემდგომი დამუშავება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც არა აქვთ ზემოაღნიშნული კომიტეტის მიერ რეგისტრირებული სამთო ნაკვეთები ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების თანახმად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1989 წლის 1 მარტიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 26 მაისის № 380 დადგენილება „საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციისა და სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 14 თებერვალი, 1989 წ. № 81

 №/12

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 თებერვლის № 81
დადგენილებით

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. ეს ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების და სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის 1986 წლის 24 ნოემბრის № 34 დადგენილებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის (გარდა საყოველთაოდ გავრცელებულისა) საბადოთა დამუშავებისათვის მიწის ნაკვეთების მიზომვის წესის ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის ერთიან წესს (წიაღით სარგებლობის უფლებას).

სამთო ნაკვეთი ეწოდება მოსარგებლისათვის მიზომილ მიწის წიაღის ნაწილს.

2. სასარგებლო წიაღისეულის მიკუთვნება საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულისათვის ხდება სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ზემოაღნიშნული კომიტეტის მიერ 1977 წლის 12 აპრილს დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოქმედი ნუსხა (ოქმი № 10) მოყვანილია № 1 დანართში.

3. ეს ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა იმ სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა დაპროექტებას, მშენებლობას, რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და ექსპლუატაციას.

4. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის წიაღი სარგებლობისათვის მიეზომება სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის საფუძველზე (დანართი № 2), რომელიც რეგისტრირებული უნდა იქნეს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებში.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების დაწყებამდე უნდა გაფორმდეს მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება სამთო ნაკვეთების ფარგლებს გარეთ და ღია დამუშავება მიწის ნაკვეთების ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ან მათი ნაწილის დამუშავება სამთო ნაკვეთის მიზომვის გარეშე ანდა სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს წიაღით თვითნებურ სარგებლობას და წყდება დადგენილი წესით, გაწეული დანახარჯების აუნაზღაურებლად.

5. სამთო ნაკვეთები საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიეზომებათ სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს*), რომელთაც მათი წესდებების ან დებულებების თანახმად მინიჭებული აქვთ სამთო სამუშაოთა წარმოებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება.

6. მაძიებელთა არტელების მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხდება სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, საწარმოსათვის მიზომილი სამთო ნაკვეთის ფარგლებში.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთებს მიუზომავს იმ რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოები.

ორი რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთი მიეზომება იმ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, რომელსაც ეს დაევალება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ.

7. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის ყველა სამთო ნაკვეთი, იმ საწარმოების უწყებრივი და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის კონტროლს დაქვემდებარების მიუხედავად, რომელთაც მიიღეს ასეთი სამთო ნაკვეთები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, უნდა გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტში.

*) შემდგომ ინსტრუქციის ტექსტში სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ეწოდებათ „საწარმოები“.

ეროვნული

8. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ან მათი ნაწილის დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთი მიეზომებათ იმ პირობით, თუ სასარგებლო წიაღისეულის მარაგი დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის ან მარაგის ტერიტორიული კომისიის მიერ და საბადო გადაცემულია სამრეწველო ათვისებისათვის, აგრეთვე თუ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების დამტკიცებული პროექტი, შესრულებული საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის მოთხოვნების, წიაღის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.*)

9. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი ახლად მშენებარე, სარეკონსტრუქციო და გასაფართოებელი საწარმოებისათვის სამთო ნაკვეთები უნდა გაფორმდეს ამ საწარმოთა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების დაწყებამდე.

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა დაპროექტების, მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროცესში სამთო ნაკვეთის პროექტი წინასწარ უნდა შეუთანხმდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს.

10. მიწის ნაკვეთის გამოყოფა სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა ასაშენებლად და სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასამუშავებლად ფორმდება საქართველოს სსრ მიწის კოდექსით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 13 ივლისის № 404 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობათა აღძვრის, განხილვის და სარგებლობისათვის მათი გადაცემის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით სამთო ნაკვეთის მიღების შემდეგ.

11. სამთო ნაკვეთებს არასაყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიუზომავს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი.

12. საწარმოსათვის მიზომილი სამთო ნაკვეთის გადაცემა მის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დროებითი ან უვადო დამუშავების მიზნით სხვა საწარმოსათვის აკრძალულია.

---

* სამთო ქანების მომპოვებელ საწარმოებს, რომელთა მწარმოებლობაა 50000 კუბურ მეტრზე ნაკლები სამთო მასა წელიწადში აფეთქების სამუშაოთა გამოუყენებლად, პროექტის ნაცვლად შეუძლიათ ჰქონდეთ ზემდგომი სამეურნეო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სამთო სამუშაოთა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების წესსა და ხერხს.

ეროვნული

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა აუცილებლობა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს სხვა საწარმოსათვის გადაცემისა, საბადოს გადამცემმა საწარმომ უნდა ჩააბაროს სამთო ნაკვეთი სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, ხოლო შემდგომი დამუშავებისათვის საბადოს მიმღებმა საწარმომ უნდა გააფორმოს ახალი სამთო ნაკვეთი ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად.

საწარმოს დასახელების შეცვლისას გადაფორმდება მხოლოდ სამთო ნაკვეთის მიზომვის აქტი, ტოპოგრაფიული გეგმის ასლის წარწერა და სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობა.

13. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვა იმ ტერიტორიებზე, სადაც განლაგებულია საწარმოები, შენობა-ნაგებობები, ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები, კურორტები, ტყეპარკები, ნაკრძალები, წყალმომარაგების წყაროები, მდინარეები, წყალსატევები, ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სასაზღვრო ზოლები, აეროდრომები, სპეციალური დანიშნულების პოლიგონები, გასხვისების ზოლები, ციხე-სიმაგრეები და გამაგრებული რაიონები, სასაფლაოები და სხვა ობიექტები, ხდება დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ.

14. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოთა დაფინანსება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობა სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ, და წყდება სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის ან მისი რეგისტრაციის ცნობის ჩამორთმევით.

## II. ძირითადი მოთხოვნები სამთო ნაკვეთებისადმი

15. სამთო ნაკვეთი მიეზომებათ, როგორც წესი, საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მთელი საბადოს დამუშავებისათვის. დიდი საბადოს დასამუშავებლად სამთო ნაკვეთები შეიძლება მიეზომოს ორ ან რამდენიმე საწარმოს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით.

რამდენიმე საწარმოს მიერ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დიდი საბადოს დამუშავებისას საბადოს ან მისი ნაწილების დამუშავების თანამიმდევრულობამ და სამთო სამუშაოთა ურთიერთდაკავშირებამ უნდა უზრუნველყოს დაზვერილი მარაგის წიაღიდან რაც შეიძლება სრული, კომპლექსური და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ამოღება და სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება.

16. მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის საზღვრები დგინდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის (მარაგის ტერიტორიული კომისიის) მიერ დამტკიცებული მარაგის ან მისი ნაწილების კონტურებით, $C_2$ კატეგორიის მარაგის ჩათვლით, რაც ნებადართულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის მიერ დაპროექტებისათვის მთის ქანების დაძვრის ან კარიერის გვერდების გაწევის ზონების გათვალისწინებით.

აკრძალულია სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ დარჩეს საბადოს უბნები, რომლებიც გამოუსადეგარია დამოუკიდებელი დამუშავებისათვის.

17. მოქმედი საწარმოს სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ მდებარე საბადოს უბნების დამუშავებაში ჩართვის მიზნით მიჭრა დასაბუთებული უნდა იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებებით და გაფორმდეს როგორც ახალი სამთო ნაკვეთის მიზომვა ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით.

18. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიმუშაონ სპეციალიზებულმა საპროექტო ორგანიზაციებმა ან სამთო პროფილის სპეციალისტებმა ამ ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვით.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების დაპროექტებისას უნდა დადგინდეს მომავალი სამთო და მიწის ნაკვეთების მიზომვის საზღვრები და სხვა ძირითადი პარამეტრები, აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის რაციონალურ გამოყენებასა და გარემოს დაცვას სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებულ სამთო სამუშაოთა მავნე გავლენისაგან.

მომავალი სამთო ნაკვეთის ძირითადი პარამეტრები წინასწარ უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით, რისთვისაც საპროექტო ორგანიზაცია ან საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმო წარუდგენს ამ ორგანიზაციებს განაცხადს, რომელშიც აღინიშნება საწარმოს დასახელება, მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ცნობები საბადოს დაზვერვის, სასარგებლო წიაღისეულის დამტკიცებული მარაგის რაოდენობის, ხარისხისა და კატეგორიულობის შესახებ და მოცემული იქნება მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება.

განაცხადს თან დაერთვის:

— სასარგებლო წიაღისეულის საბადოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ზედაპირის ტოპოგრაფიული გეგმის ამონახაზი სასოფლო-სამეურნეო და

ეროვნული

ტყის სავარგულების, დასახლებული პუნქტების, ცალკეული შენობა-ნაგებობების კონტურების, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის საბადოს საზღვრებისა და მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის კონტურების აღნიშვნით;

— გეოლოგიური (სტრუქტურული) რუკისა და გეოლოგიური ჭრილების ასლები სასარგებლო წიაღისეულის საბადოსა და მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის კონტურების აღნიშვნით ფართობისა და სიღრმის მიხედვით;

— სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების დაპროექტების დავალების ასლი, შეთანხმებული საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთან.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შენიშვნები და წინადადებანი გათვალისწინებული უნდა იქნეს სამთო ნაკვეთის პროექტის შემდგომი მომზადებისას.

## III. სამთო ნაკვეთის პროექტის შინაარსი

19. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის პროექტი უნდა შედგებოდეს განმარტებითი ბარათისა და გრაფიკული მასალებისაგან.

განმარტებით ბარათში აღინიშნება მიზანი, რომლისთვისაც მოთხოვნილია სამთო ნაკვეთი, და დასაბუთდება მისი მიღების აუცილებლობა, აგრეთვე წარმოდგენილი იქნება:

— დასახელება ორგანიზაციისა, რომელიც ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს დაპროექტებას და ამზადებს სამთო ნაკვეთის პროექტს;

— ზოგადი ცნობები მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის ტერიტორიის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციული ადგილმდებარეობა, ფართობის სიდიდე, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების ხასიათი, განაშენიანება, გამოყენება და ა. შ.);

— საბადოს მოკლე გეოლოგიური დახასიათება (სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ზომა, ელემენტები და სხვ.), საბადოს დამუშავების სამთო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ზოგადი ცნობები მომიჯნავე სამთო ნაკვეთების შესახებ;

— მონაცემები საბადოს დაზვერვის, დაზვერილი, დამტკიცებული და ოპერატიულად აღრიცხული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობისა და ხარისხის, კატეგორიულობისა და ნივთიერი შედგენილობის შესახებ;

— სამთო ნაკვეთის საზღვრების დასაბუთება;

— მინერალური ნედლეულის კომპლექსური გამოყენების ღონისძიებანი მისი მოპოვებისა და შემდგომი გადამუშავებისას;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის (მარაგის ტერიტორიული კომისიის) რეკომენდაციები, რაც აღნიშნულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცების ოქმში.

გრაფიკული მასალები უნდა შედგებოდეს სამთო ნაკვეთის საპროექტო საზღვრებში ზედაპირის ტოპოგრაფიული გეგმის ასლისაგან და გეოლოგიური (სტრუქტურული) რუკებისა და ჭრილების ასლისაგან.

ზედაპირის ტოპოგრაფიული გეგმის ასლზე ნაჩვენები უნდა იყოს ზედაპირის რელიეფი და გეოდეზიური კვეთის პუნქტები, სასარგებლო წიაღისეულის გამოსვლა დედამიწის ზედაპირზე, არსებული სამთო გვირაბების, სადაზვერვო და სხვა ჭაბურღილების პირები, ტყისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონტურები, მეზობელი და მოთხოვნილი სამთო ნაკვეთების, მიწის ნაკვეთის საზღვრები კუთხის წერტილებისა და სამთო გვირაბების მავნე გავლენის საზღვრების აღნიშვნით.

ტოპოგრაფიული გეგმის თავისუფალ ნაწილში აღინიშნება სამთო ნაკვეთის პროექციის ფართობი (ჰექტარობით) ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის კუთხის წერტილების x, y, z კოორდინატების მნიშვნელობა, რაც აღინიშნება გრაფიკულად გეგმაზე და ჭრილებზე, გეგმის შევსების თარიღი.

ზემოთ გეგმის მარჯვენა მხარეს რჩება ადგილი სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი წარწერისათვის.

ტოპოგრაფიული გეგმის ასლის მასშტაბი მიიღება ასახული ნაკვეთის ზომის, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად. იგი უნდა იყოს არანაკლებ 1 : 5000.

გეოლოგიური რუკებისა და ჭრილების ასლებზე ნაჩვენები უნდა იყოს საბადოსა და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა კონტურები, მათი გამოსვლა დედამიწის ზედაპირზე, ტექტონიკური დარღვევები, წარეცხვის, გამოჟონვის ადგილები და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი სხვა ნაკვეთები, საბადოსა და მისი მახლობელი ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, სასარგებლო წიაღისეულის დამტკიცებული და ოპერატიულად აღრიცხული მარაგის გამონგარიშების კონტურები, მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის კონტურები ფართობისა და სიღრმის მიხედვით.

სამთო ნაკვეთის პროექტს თან უნდა დაერთოს:

— სამრეწველო ათვისებისათვის სასარგებლო წიაღისეულის საბადოს გადაცემა-მიღების აქტის ასლი;

— სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის (მარაგის ტერიტორიული კომისიის) ოქმის და ოპერატიულად აღრიცხული მარაგის ბალანსზე აღების შესახებ შესაბამისი სამინისტროს მარაგის ცენტრალური კომისიის ოქმის ასლი, აგრეთვე მარაგის გამონგარიშების ცხრილებიდან სათანადო ამონაწერები;

— დოკუმენტები იმის შესახებ, რომ დაინტერესებული ორგანიზაციები (მიწათმოსარგებლეები, წყლის, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციები, თევზზედამხედველობა და სხვ.) ეთანხმებიან სამთო ნაკვეთის მიზომვას;

— დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანიზაციის შუამდგომლობა სამთო ნაკვეთის მიზომვის შესახებ.

სამთო ნაკვეთის პროექტსა და მისთვის თანდართულ დოკუმენტებს ხელს უნდა აწერდნენ შემსრულებლები, საპროექტო ორგანიზაციის დირექტორი (მთავარი ინჟინერი) ან სამთო ნაკვეთის მთხოვნელი საწარმოს ხელმძღვანელი, ხოლო ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით.

## IV. სამთო ნაკვეთის მიზომვის წესი

20. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიღებით დაინტერესებული საწარმო უგზავნის სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოს განაცხადს, რომელშიც აღინიშნება საწარმოს დასახელება, მისი უწყებრივი დაქვემდებარება და მისამართი, სამთო ნაკვეთის ადგილმდებარეობა.

განაცხადს თან დაერთვის სამ ცალად სამთო ნაკვეთის პროექტი საჭირო დანართებითურთ.

განაცხადს ხელს აწერს იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც დაამუშავებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს, ან დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

21. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი (საჭიროების შემთხვევაში სამთო ნაკვეთის მიღებით დაინტერესებული საწარმოს წარმომადგენლის მონაწილეობით) განიხილავს სამთო ნაკვეთის პროექტს და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით საწარმო მოვალეა წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტები და განმარტებანი სამთო ნაკვეთთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ვადა შესაბამისად გრძელდება.

22. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი სამთო ნაკვეთის მიზომვის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას განიხილავს და ამოწმებს:

— მოთხოვნილი სამთო ნაკვეთის საზღვრების სისწორესა და დასაბუთებულობას საქართველოს სსრ წიაღის კოდექსისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით;

— სამთო ნაკვეთის პროექტის შინაარსის შესაბამისობას ამ ინსტრუქციის მოთხოვნებთან, იმ დოკუმენტების არსებობას, რომლებიც თან უნდა დაერთოს პროექტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი იმ საწარმოს მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების პროექტს, რომლისთვისაც მოთხოვნილია სამთო ნაკვეთი, საბადოს რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებასთან, წიაღის დაცვასთან, სამთო სამუშაოთა მავნე გავლენისაგან გარემოს, შენობა-ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საპროექტო გადაწყვეტილებათა სისრულისა და დასაბუთების ნაწილში;

— სამთო სამუშაოთა შედეგად დარღვეული მიწების სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანის ღონისძიებანი.

23. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ორი თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

საჩივრის ასლი უნდა გაეგზავნოს ამავე დროს გადაწყვეტილების მიმღებ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, რომელიც მოვალეა საჩივრის ასლის მიღებიდან სამი დღის ვადაში გაუგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მთელი მასალები სადავო საკითხზე საჩივრის არსის განმარტებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

24. სამთო ნაკვეთის მიზომვა ფორმდება სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის გაცემით, აგრეთვე ტოპოგრაფიული გეგმის ასლის ზემო მარჯვენა კუთხეში ხელმოწერით, № 2 და 3 დანართების თანახმად.

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი დგება სამ ცალად. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელმოწერა მოწმდება ბეჭდით.

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტების გაცემა დასაშვებია მხოლოდ სტამბური წესით დამზადებულ და ხელით ტუშით სუფთად (ამოუშლელად) შევსებულ ბლანკებზე.

25. სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტისა და სამთო ნაკვეთის მიზომვის თაობაზე გაფორმებული დოკუმენტაციის თითო ცალი ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში, რომელმაც მიუზომა სამთო ნაკვეთი, ხოლო ორი ცალი გადაეცემა საწარმოს, აქედან ერთი წარედგინება საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს სარეგისტრაციოდ.

26. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ მიზომილი სამთო ნაკვეთები აღირიცხება წიგნში № 4 დანართში მოყვანილი ფორმის მიხედვით.

## V. სამთო ნაკვეთების რეგისტრაციის წესი

27. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის მიზნით საწარმომ უნდა წარუდგინოს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს:

— სამთო ნაკვეთის მიზომვის თაობაზე საპროექტო დოკუმენტაციის და სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის თითო ეგზემპლარი, რომელიც გასცა სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომმა;

— სამთო ნაკვეთის მიზომვის შესახებ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმის ამონაწერი;

— საწარმოს (რომელსაც მიეზომა სამთო ნაკვეთი) წესდების ან დებულების ამონაწერი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას სამთო სამუშაოთა საწარმოებლად და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დასამუშავებლად.

28. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავს სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის მასალებს და გამოაქვს მათ გამო გადაწყვეტილება მათი მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღის შემდეგ.

29. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს გამოშვებისათვის სამთო ნაკვეთის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი სპეციალურ წიგნში (დანართი № 5), რის შესახებაც საწარმოს ეძლევა დაწესებული ნიმუშის ცნობა (დანართი № 6).

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობის ერთი ცალი წარედგინება საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" ტერიტორიულ გეოლოგიურ ფონდს.

30. საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტმა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების რეგისტრაციისას უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის მოთხოვნების დაცვა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და ექსპლუატაციის დროს, ხომ არ არის შესაძლებელი მისაპოვებელ საყოველთაოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულზე მო-

თხოვნილება დაიფაროს მრეწველობის სამთო-მომპოვებელი დარგების მახლო-ბელ საწარმოთა ნარჩენების ხარჯზე.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს საჭიროების კვალობაზე შეაქვს სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობაში დამატებითი პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს საწარმომ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისას.

31. თუ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთი არ ითვალისწინებს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის მოთხოვნებს, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტმა უარი უნდა თქვას მის რეგისტრაციაზე.

სამთო ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარის შესახებ საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი ატყობინებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, რომელმაც მიუზომა სამთო ნაკვეთი.

## VI. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი და წესი

32. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად წიაღით სარგებლობის უფლება წყდება მთლიანად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:

საჭირო აღარ არის სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავება (მოპოვება);

აუცილებელია წიაღის (ნაკვეთის) გამოყენება სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

ლიკვიდირებულია საწარმო, რომელსაც მიცემული ჰქონდა სარგებლობაში წიაღი;

მოსახლეობის ჯანმრთელობას, აგრეთვე გარემოს აშკარა საფრთხე შეექმნა სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებით.

33. წიაღით სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე, თუ წიაღით მოსარგებლე:

არ შეუდგება მისთვის სამთო ნაკვეთის მიზომვის შემდეგ ორი თვის განმავლობაში წიაღით სარგებლობას;

სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასამუშავებლად მიცემულ წიაღს გამოიყენებს სხვა მიზნებისათვის;

დაარღვევს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისა და წიაღის დაცვის წესებსა და ნორმებს, არ დაიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც გათვალისწინებულია სამთო სამუშაოთა განვითარების პროექტებით (სქემებით) და გეგმებით, აგრეთვე არ უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მთლიანად ამოღებასა და გამოყენებას.

34. წიაღით სარგებლობის უფლება წყდება შემდეგნაირად: საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელ აქტს აუქმებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი, რომელმაც გასცა აღნიშნული აქტი, ან სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობას აუქმებენ საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოები.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტის გაუქმების შესახებ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი 10 დღის ვადაში აცნობებს საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს და დამფინანსებელი ბანკის დაწესებულებას.

სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობის გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი 10 დღის ვადაში აცნობებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, რომელმაც მიუზომა სამთო ნაკვეთი, დამფინანსებელი ბანკის დაწესებულებას და საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" ტერიტორიულ გეოლოგიურ ფონდს.

35. საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს კონსერვაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი უბრუნდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, ხოლო სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობა — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს დადგენილი წესით საწარმოს კონსერვაციის ან ლიკვიდაციის აქტის გაფორმების შემდეგ 30 დღის ვადაში.

## VII. პასუხისმგებლობა წიაღით მოსარგებლეთა მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვისათვის და კონტროლი მისდამი

36. პასუხისმგებლობა ამ ინსტრუქციით დადგენილი სამთო ნაკვეთის გაფორმების წესის შესრულების, მისი დროულად მიღებისა და დაცვისათვის ეკისრებათ სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ხოლო სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების დაპროექტებისას — პროექტის მთავარ ინჟინერსა და საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პირებს ეკისრებათ აგრეთვე პასუხისმგებლობა წიაღის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისათვის, აგრეთვე საყოველთაოდ გავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელ აქტში ჩამოყალიბებულ წიაღით მოსარგებლის მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის.

წიაღით თვითნებურად სარგებლობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირებს ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

37. კონტროლს საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებში საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტების არსებობის, სამთო ნაკვეთის დოკუმენტაციის სისრულისა და სისწორისადმი, აგრეთვე ზედამხედველობას სამთო ნაკვეთის ფარგლებში სამთო სამუშაოთა წარმოებისას წიაღის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვისადმი ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ადგილმდებარეობის მიხედვით და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგე-
ნილებით დამტკიცებული საყოველთაოდ
გავრცელებული სასარგებლო წიაღისეუ-
ლის საბადოთა დამუშავებისათვის სამ-
თო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ
ინსტრუქციის დანართი № 1

**ნ უ ს ხ ა**

**სსრ კავშირის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულისა, დამტკიცებული სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1977 წლის 12 აპრილს (ოქმი № 10)**

ქვიშა (საყალიბო, სამინე, ფაიფურ-ქაშანურის, ცეცხლგამძლე და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო ქვიშის გარდა) კენჭი, ხრეში, თიხა (ცეცხლგამძლე, ძნელდნობადი, საყალიბო, ფაიფურ-ქაშანურისა და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო, ფლორიდინის, სალებავი, ბენტონიტური, მჟავაგამძლე და კაოლინის თიხის გარდა), თიხნარი (ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო თიხნარის გარდა), ყორექვა, ქვიშაქვა (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, დინასის და მინის მრეწველობისათვის საჭირო ქვიშაქვის გარდა), კვარციტი (დინასის, ფლუსის, მოსაპირკეთებელი, რკინოვანი და სილიციუმკარბიდის, კრისტალური სილიციუმისა და ფეროშენადნობთა წარმოებისათვის საჭირო კვარციტის გარდა), ცარცი (ცემენტის, ქიმიური, მინის, რეზინის მრეწველობისათვის და ნედლობისაგან თიხამიწის მიღებისათვის საჭირო ცარცის გარდა), დოლომიტი (სახერხი, მოსაპირკეთებელი, მეტალურგიული, ქიმიური და მინის მრეწველობისათვის საჭირო დოლომიტის გარდა), მერგელი, (ბიტუმოვანი და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო მერგელის გარდა), კირქვა (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, სახერხი, ცემენტის, მეტალურგიული, ქიმიური, მინის, ცელულოზა-ქაღალდისა და შაქრის მრეწველობისათვის, აგრეთვე თიხამიწის წარმოებისათვის საჭირო კირქვის გარდა), ნიჟარქვა, ფიქალი (საწვავი და სახურავი ფიქლის გარდა), არგილითი და ალევროლითი (ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად გამოსადეგის გარდა), მაგმური, ვულკანოგენური და მეტამორფული ქანები (მოსაპირკეთებელი, დეკორატიული, ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე მასალების, ქვის სხმულისა და მინერალური ბამბის წარმოებისათვის საჭირო, აგრეთვე ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად გამოსადეგი ქანების გარდა).

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 2

———————————— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო)

საბჭოს აღმასკომი

**საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი**

## ა ქ ტ ი

ეს აქტი ადასტურებს სამთო ნაკვეთის მიზომვას ————————————
(საბადოს და სასარგებლო

———————————— ღია (მიწისქვეშა) წესით დამუშავებისათვის,
წიაღისეულის დასახელება)

რომელიც მიეზომა ————————————————————
(საწარმოს დასახელება, რომელსაც მიეზომა სამთო ნაკვეთი,

————————————————————
და მისი უწყებრივი დაქვემდებარება)

სამთო ნაკვეთი მდებარეობს ————————————————
(სოფლის, რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის დასახელება)

და აღნიშნულია ტოპოგრაფიული გეგმის თანდართულ ასლზე კუთხის წერტილებით ————————————, აგრეთვე გეოლოგიურ რუკებსა და
(კუთხის წერტილების ნუსხა)

ვერტიკალურ ჭრილებზე ————————————.
(რუკებისა და ჭრილების ნომრები)

ტოპოგრაფიული გეგმის ასლზე კუთხის წერტილებით აღნიშნული სამთო ნაკვეთის პროექციის ფართობი შეადგენს ————————————
(სიტყვებით)

ჰექტარს.

სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი გაცემულია ————————

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ

**19 —— წლის „——" ————————————**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს აქტი შედგენილია სამ ცალად და შეტანილია ———————— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის რეესტრში № —— ით.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის მიზომილ სამთო ნაკვეთზე საწარმო მოვალეა:

დაამუშაოს საბადო სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს დამტკიცებული პროექტის, სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების, საბადოს დამუშავების პროექტებისა და სქემების, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად;

გამოიყენოს ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად და სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ძვირფასი კომპონენტების ამოსაღებად საბადოთა დამუშავების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი ხერხები და სისტემები;

არ დაუშვას სასარგებლო წიაღისეულის ზენორმატიული დანაკარგები და გაღარიბება, აგრეთვე საბადოთა უბნებისა და ფენების შერჩევითი დამუშავება;

განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამატებითი დაზვერვა და საექსპლუატაციო დაზვერვა და სხვა გეოლოგიური სამუშაოები, სამარკშაიდერო სამუშაოები, აგრეთვე აწარმოოს გათვალისწინებული გეოლოგიური სამარკშაიდერო და ტექნიკური დოკუმენტაცია;

განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის, დანაკარგებისა და გაღარიბების მდგომარეობისა და მოძრაობის აღრიცხვა;

არ დაუშვას სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებული და მის მეზობლად მდებარე საბადოთა გაფუჭება სამთო სამუშაოთა წარმოების პროცესში და უზრუნველყოს წიაღში დროებით კონსერვირებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის შენარჩუნება;

შეინარჩუნოს გზადაგზა მოპოვებული, დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეული და აწარმოოს მისი აღრიცხვა;

უზრუნველყოს გადახსნილი ქანების რაციონალური გამოყენება, აგრეთვე მათი სწორი განლაგება;

უზრუნველყოს მუშაკთა და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოება, წიაღის და გარემოს სხვა ობიექტების, შენობა-ნაგებობების დაცვა სამთო სამუშაოთა მავნე გავლენისაგან;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს ავარიის ლიკვიდაციის გეგმები;

უზრუნველყოს დასამუშავებელი საბადოს დაცვა დატბორვის, გაწყლოვანებისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც ამცირებენ სასარგებლო წიაღისეულის ხარისხს და საბადოს სამრეწველო მნიშვნელობას ან ართულებენ მის დამუშავებას;

არ დაუშვას სამთო ნაკვეთის ზედა ტერიტორიის დაკავება შენობა-ნაგებობებითა და სხვა ობიექტებით საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების ნებართვის გარეშე;

ეროვნული

შეაჩეროს სამუშაოები სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისას იშვიათი გეოლოგიური და მინერალოგიური წარმონაქმნების, მეტეორიტების, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური და მეცნიერებისა და კულტურისათვის საინტერესო სხვა ობიექტების აღმოჩენის შემთხვევებში და შეატყობინოს მათ შესახებ დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს;

განახორციელოს საუწყებო კონტროლი საბადოს რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენებისა და წიაღის დაცვისადმი;

განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის კონსერვაციისა და ლიკვიდაციის სამუშაოები სამთო სამუშაოთა წარმოების დროებით ან მუდმივად შეწყვეტის შემთხვევებში;

მოიყვანოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას დარღვეული მიწის ნაკვეთები უსაფრთხო მდგომარეობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის აქტი ძალას კარგავს და უნდა დაუბრუნდეს მის გამცემ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, თუ წიაღის მოსარგებლეს არ დაუწყია საბადოს დამუშავება ორი წლის განმავლობაში მისთვის სამთო ნაკვეთის მიზომვის შემდეგ.

საწარმოს ეკრძალება გადასცეს მისთვის მიზომილი სამთო ნაკვეთი სხვა საწარმოს.

საწარმოს კონსერვაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წიაღის უბნის გამოყენების სამუშაოთა შეჩერების დღისათვის შესრულებული გეოლოგიური და სამარკშაიდერო დოკუმენტაციის დედნები უნდა გადაეცეს 10 დღის ვადაში ზემდგომ (დაქვემდებარების მიხედვით) ორგანიზაციას, ხოლო სამარკშაიდერო გეგმების, გეოლოგიური რუკებისა და ჭრილების ასლები გადაეცეთ ამავე ვადაში დაინტერესებულ საწარმოებს, ორგანიზაციებს, მეზობელი საწარმოების ჩათვლით.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის აქტი ორგანიზაციის ხელწერილის ასლებთან ერთად მათ მიერ გეოლოგიური და სამარკშაიდერო დოკუმენტაციის ასლების მიღების თაობაზე საწარმოს კონსერვაციის ან ლიკვიდაციის აქტის გაფორმების შემდეგ 30 დღის ვადაში გადაეცემა ———————— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს, ხოლო სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობა — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს.

ზემოაღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

______________ სახალხო დეპუტატთა
რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე ______________
(ხელმოწერა)

ბ. ა.

19 —— წლის „——“——————

№ ——————

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 3

## ტოპოგრაფიული გეგმის ასლის წარწერის

## ნიმუში

________________ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომმა საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტით

19 ____ წლის „____“ ____________ მიუზომა ____________________
(საწარმოს დასახელება

________________ სამთო ნაკვეთი ________________
და მისი უწყებრივი დაქვემდებარება)

________________________ დამუშავებისათვის, რომელიც
(სასარგებლო წიაღისეულის, საბადოს დასახელება)

მდებარეობს ________________________________
(სოფლის, რაიონის, საქალაქო საბჭოს ზონის, ავტონომიური ოლქის,

________________________________.
ავტონომიური რესპუბლიკის დასახელება)

ამ გეგმაზე კუთხის წერტილებით ________________ აღნიშნულ სამთო ნაკვეთის საზღვრების ფარგლებში უნდა დამუშავდეს:

| ფენის, ძარღვის, ლინზის დასახელება და ა. შ. | სიგრძე (მეტრი) | | ფართობი |
|---|---|---|---|
| | გავრცობისა | დაქანებისა | |
| | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთის მიზომვის დამადასტურებელი აქტი შეტანილია ———————— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის რეესტრში 19 —— წლის „——“———————— № ———— ით.

ბ. ა.

———————— სახალხო დეპუტატთა

რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

————————————————

(ხელმოწერა)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 4

———————————— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო)

საბჭოს აღმასკომი

**საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიზომილი სამთო ნაკვეთების აღრიცხვის**

**წიგნი (რეესტრი)**

| სამთო ნაკვეთის სარეესტრო ნომერი | სამთო ნაკვეთის მიზომვის თარიღი | სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასახელება | სამთო ნაკვეთის ფართობი (ჰექტარი) | დასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის დასახელება | სასარგებლო წიაღისეულის მარაგი ———— თვის (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის ან მარაგის ტერიტორიული კომისიის ოქმის თარიღი და ნომერი) | ნაკვეთის გამოყოფის ადგილი (სოფელი, რაიონი, საქალაქო საბჭოს ზონა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა) | სამთო ნაკვეთის მიმღები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი, აგრეთვე მისი დაქვემდებარება (ტრესტი, სამინისტრო, უწყება) | დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც მიეცა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას სამთო ნაკვეთის მიზომვის გაფორმებისას | აღნიშვნები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის (კონსერვაციის), სამთო ნაკვეთის ფართობის შეცვლის, მისი ჩამორთმევის შესახებ მიზეზების მითითებით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | | | | | | | | | | |

შენიშვნა: წიგნი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ბეჭდით დამოწმებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 5

მუხ. 12

## საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის მიზომილი სამთო ნაკვეთების რეგისტრაციის

## წიგნი

| სარეესტრო ნომერი | რეგისტრაციის თარიღი | სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დასახელება, რომელმაც მიუზომა სამთო ნაკვეთი | სამთო ნაკვეთის მიზომვის ნომერი და თარიღი და ვადა, რომლითაც მიზომილია იგი | დასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასახელება | საბადოს ადგილმდებარეობა (მისამართი) | სამთო ნაკვეთის ფართობი (ჰექტარი) | სასარგებლო წიაღისეულის დასახელება, რომელიც უნდა იყოს მოპოვებული სამთო ნაკვეთის ფარგლებში | სასარგებლო წიაღისეულის მარაგი ———— თვის (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის ან მარაგის ტერიტორიული კომისიის ოქმის თარიღი და ნომერი) | სამთო ნაკვეთის მიმღები საწარმოს დასახელება და მისი უწყებრივი დაქვემდებარება | აღნიშვნა საწარმოს ლიკვიდაციის ან სამთო ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | | | | | | | | | | | |

შენიშვნა: წიგნი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდით დამოწმებული.

მუხ. /13
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 თებერვლის № 81 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 6

**საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი**

## ც ნ ო ბ ა

**სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ**

ეს ცნობა მიეცა ______________________________
(საწარმოს დასახელება და უწყებრივი დაქვემდებარება)

იმის შესახებ, რომ 19 —— წლის „——“———————— სარეესტრო № ———— ით საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა № ———— სამთო ნაკვეთი, რომელიც

———————————— 19 —— წლის „——“ ————————
(სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დასახელება)

მიუზომა ღია (მიწისქვეშა) წესით ——————————————
(სასარგებლო წიაღისეულის, საბადოს დასახელება)

სამრეწველო დამუშავებისათვის.

———————————— წიაღის მოსარგებლე ————————
(საბადოს დასახელება) (საწარმოს დასახელება

———————————————— მოვალეა: ————————
და მისი უწყებრივი დაქვემდებარება) (მოკლედ აღინიშნება

——————————————————————————————

დამატებითი პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს საბადოს დამუშავებისას)

სამთო ნაკვეთის რეგისტრაციის ცნობის გადაცემა სხვა საწარმოსათვის აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბადოს დამუშავების დამთავრების ან სამთო ნაკვეთის ჩამორთმევისას ცნობა ძალას კარგავს და უბრუნდება საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს.

ბ. ა.

საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა
უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა
და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე

______________________________

(ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 13 ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ სახეობათა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საჰონორარო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისა და საავტორო გასამრჯელოს გაცემის მოწესრიგების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 ივლისის № 825 დადგენილების საფუძველზე დაწესდეს:

### განაყოფი I

ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ სახეობათა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში:

| ლიტერატურის სახეობა | ტირაჟი (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში (მანეთი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|---|
| **ჩვეულებრივი გამოცემანი** | | | |
| 1. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, მეცნიერულ-მხატვრული და მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები) აფხაზურ და ოსურ ენებზე*) | 10<br>3 | 300—500<br>— | —<br>— |
| 2. კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაწარმოებები | 5<br>/1/ | 300—500 | — |
| 3. მხატვრული მოთხრობა ან ნარკვევი მოცულობით ერთ საავტორო თაბახამდე | — | — | 206, 280, 335, 410, 500 |
| 4. ერთაქტიანი პიესა | — | — | 275—750 |
| 5. ლიტერატურული მინიატიურები | — | — | 50, 75, 100, 125 |
| 6. ხალხური შემოქმედების პროზაულ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამუშავება | 10<br>/3/ | 143, 160, 210, 230, 250 | — |
| 7. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, პიესები ლექსად) | 5<br>/1/ | 1,5—3 (სტრიქონში) | — |
| 8. ლექსი 30 სტრიქონამდე და სასიმღერო ლექსის ტექსტი, მიუხედავად მოცულობისა | — | — | 50, 87, 125 200, 250 |
| 9. ეპიგრამა, ლექსის ტექსტი პლაკატისათვის | — | — | 12—75 |
| 10. ხალხური შემოქმედების პოეტურ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამუშავება (სტრიქონში) | 7<br>/2/ | 0,87, 1,0, 1,30, 1,5; 1,75 | — |
| 11. ნაწარმოებები სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად — 1 საავტორო თაბახამდე, ლექსად — 100 სტრიქონამდე) | 25<br>/3/ | — | 200—500 |

*) შემდეგ აღინიშნება ფრჩხილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ლიტერატურის სახეობა | ტირაჟი (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში (მანეთი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|---|
| 12. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის: | | | |
| ა) 1 საავტორო თაბახამდე | 20 (10) | — | 106, 140, 150, 200, 250 |
| ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი | 15 (5) | 106, 140, 160, 200, 250 | — |
| 13. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის | 10 (3) | 206, 270, 340, 375 | — |
| 14. ლიტერატურულ-კრიტიკული რეცენზია (0,5 საავტორო თაბახამდე) | — | — | 143, 175, 200, 230, 250 |
| 15. ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა წინასიტყვაობანი, ბოლოსიტყვაობანი, შესავალი სტატიები | 10 (3) | 200, 275, 340, 375, 410, 430, 500 | — |
| 16. კომენტარები და შენიშვნები | — | 70—250 | — |
| 17. ორიგინალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, ანოტაცია, მოვლენათა კალენდარი, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანე და ბიბლიოგრაფიული საძიებელი წიგნში | — | 160—250 | — |
| **მასობრივი გამოცემანი** | | | |
| 18. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, მეცნიერულ-მხატვრული და მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები) | 21—40 (7—15) | 350—600 | — |
| 19. კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაწარმოებები | 11—20 (3—10) | 350—600 | — |
| 20. ხალხური შემოქმედების პროზაულ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამუშავება | 21—50 7—15) | 206—250 | — |
| 21. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, პიესები ლექსად) | (11—20 (3—10) ( | 2—3,5 (სტრიქონში) | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ლიტერატურის სახეობა | ტირაჟი (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახზე (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში (მანეთი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|---|
| 22. ხალხური შემოქმედების პოეტურ ნაწარმოებთა ჩაწერა და დამუშავება (სტრიქონში) | 8—25 (3—10) | 1,37; 1,75 | — |
| 23. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის: | | | |
| ა) 1 საავტორო თაბახამდე | 21—50 (7—15) | — | 143, 200, 250 |
| ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი | 21—50 (7—15) | 143, 200, 250 | — |
| 24. ნაწარმოებები სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად — 1 საავტორო თაბახამდე, ლექსად — 100 სტრიქონამდე) | 50 (15) | — | 300—600 |
| 25. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის | 21—50 (7—15) | 275, 340, 375 | — |
| 26. ნაწარმოებები სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის: | | | |
| ა) პროზა | 21—50 (7—15) | 375, 430, 500 | — |
| ბ) პოეზია (სტრიქონში) | 21—50 (7—15) | 1,87; 2,10; 2,50 | — |
| 27. „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიის წიგნები: | | | |
| ა) პროზა | 21—50 (7—15) | 375, 430 500 | — |
| ბ) პოეზია (სტრიქონში) | 21—50 7—15) | 1,87; 2,10 2,50 | — |
| 28. ბუკლეტები (ტურისტული და სხვა): | — | — | 125—225 |
| ა) 1,5 თაბახამდე | — | — | 180—310 |
| ბ) 2,0 თაბახამდე | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნები:**

1. მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-14, მე-16, მე-17, 28-ე ქვეპუნქტებში აღნიშნული საავტორო ჰონორარის განაკვეთები წესდება ტირაჟის მიუხედავად.

ფრჩხილებში აღნიშნული ტირაჟები გამოიყენება აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოცემული ნაწარმოებებისათვის.

2. უმაღლესი განაკვეთი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებთა გამოცემისას.

3. ლიტერატურულ მინიატიურებს განეკუთვნება აფორიზმები, იგავ-არაკები პროზად, რეპრიზები, ხუმრობანი, ანეკდოტები, პარადოქსები, ეგრეთ წოდებული „მოსწრებული სიტყვები“ და ა. შ. მოკლე მოთხრობები და ლექსები, ეპიგრამები, სიმღერათა ტექსტები და სხვა ნაწარმოებები, რომელთა ანაზღაურებლადაც დაწესებულია სპეციალური განაკვეთები, არ შეიძლება ანაზღაურდეს როგორც ლიტერატურული მინიატიურები.

4. ავტორის სიცოცხლეში გამოსულ 1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა პირველი გამოცემისათვის გათვალისწინებული ოდენობით, თხზულებათა კრებულში ან რჩეულ ნაწარმოებებში შეტანილი ნაწარმოებების წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიუხედავად.

ავტორის სიცოცხლეში გამოსულ 1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა მასობრივი ტირაჟით გამოცემისას საავტორო გასამრჯელო მასობრივი ტირაჟის პირველი ნორმისათვის გაიცემა პირველი მასობრივი გამოცემისათვის დაწესებული ერთი განაკვეთის ოდენობით.

ავტორის მემკვიდრეებს გასამრჯელო 1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის მიეცემათ II განაყოფის მე-12 პუნქტის პირველი აბზაცით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა ტირაჟების ნორმების გადამეტებისა და მათი ხელახლა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა II განაყოფის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

ბ. ორიგინალური პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის დარგში:

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| 1. ლიტერატურა მეცნიერულ-თეორიულ საკითხებზე, მონოგრაფიები ცოდნის ყველა დარგში, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის გარდა | 200—400 | — |
| 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურა | 200—400 | — |
| 3. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში (გარდა მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურისა ბავშვებისათვის) | 125—375 | — |
| 4. მეცნიერულ-საგანმანათლებლო, საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა ცოდნის ყველა დარგში, მათ შორის ლიტერატურა მოწინავე გამოცდილების გაზიარების საკითხებზე, მეცნიერულ-ტექნიკური, სხვა ცნობარები, სტატისტიკური კრებულების, კალენდარ-ცნობარების, მოწყობილობის ცნობარ-კატალოგების, მეგზურების ჩათვლით, აგრეთვე სხვა ლიტერატურა | 100—250 | — |
| 5. სახელმძღვანელოები | 200—350 | — |
| 6. სასწავლო ლიტერატურა: | | |
| ა) დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის | 125—250 | — |
| ბ) დამხმარე სახელმძღვანელოები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის | 125—187 | — |
| გ) ლექციები და ლექციათა კურსები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის | 125—187 | — |
| დ) დამხმარე სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-IV კლასების მოსწავლეთათვის | 125—187 | — |
| ე) დამხმარე სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V-XI კლასების მოსწავლეთათვის | 125—250 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახზე (40 ათასი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| ვ) დამხმარე სახელმძღვანელოები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, ბრიგადულ-ინდივიდუალური მოწაფეობისა და კურსებისათვის | 125—250 | — |
| ზ) ლიტერატურა სასწავლებლებსა და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე | 125—187 | — |
| თ) სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური და დაუსწრებელი სასწავლებლების მოსწავლეებისათვის | 125—175 | — |
| ი) პედაგოგიური ლიტერატურა მშობლებისათვის | 125—187 | — |
| კ) თვალსაჩინოებანი და კედლის ცხრილები სასწავლებლებისა და ლექციური პროპაგანდისათვის: | | |
| ტექსტები | 125—187 | — |
| ცხრილები, მათ შიგნით არსებული ტექსტების ჩათვლით და სურათები ზომით: | | |
| — 1 ქაღალდის ფურცლისა | — | 31—75 |
| — 0,5-მდე ქაღალდის ფურცლისა | — | 25—62 |
| ორთოგრაფიის, მორფოლოგიისა და ფონეტიკის ცხრილები | — | 25—50 |
| 7. სტატიები ენციკლოპედიებისა და ენციკლოპედიური ლექსიკონებისათვის: | | |
| ა) 200 ნიშნამდე | — | 2,5-მდე |
| ბ) 201-დან 500 ნიშნამდე | — | 1,8—6 |
| გ) 501-დან 1000 ნიშნამდე | — | 3,7—12 |
| დ) 1001-დან 3000 ნიშნამდე | — | 6—37 |
| ე) 3001-დან 6000 ნიშნამდე | — | 18—75 |
| ვ) 6001-დან 10000 ნიშნამდე | — | 30—110 |
| ზ) 10001-დან 15000 ნიშნამდე | — | 60—160 |
| თ) 15001-დან 20000 ნიშნამდე | — | 80—210 |
| ი) 20001-დან 30000 ნიშნამდე | — | 120—330 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახზე (40 ათასი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| კ) 30001-დან 40000 ნიშნამდე | — | 180—430 |
| ლ) 40000 ნიშანზე მეტი — დამატებით ნაზღაურდება თითოეული საავტორო თაბახი | 240 - 420 | — |
| 8. განმარტებითი ლექსიკონები, სპეციალურ ტერმინთა, სინონიმთა ლექსიკონები | 120—360 | — |
| 9. ლექსიკური და ორთოგრაფიული ლექსიკონები: | | |
| ა) ანბანური დამწერლობის მქონე ენებისა | 90—180 | — |
| ბ) იშვიათი, ძველი, ხვეული დამწერლობის, თავისი გრაფიკის, იეროგლიფებისა და ლურსმული დამწერლობის მქონე ენებისა | 120—360 | — |
| 10. ორიგინალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ანოტაციები, მოღვაწეთა კალენდრები, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანეები | 48—120 | — |
| 11. შესავალი სტატიები, წინასიტყვაობანი და ბოლოსიტყვაობანი | 180—360 | — |
| 12. ტექნიკური და სხვა ალბომები | 120—240 | — |
| 13. მოსახევი კალენდრები: | | |
| ა) ორიგინალური ნაწარმოებები — წერილში (ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები ნაზღაურდება შესაბამისი განაკვეთების მიხედვით) | — | 6—24 |
| ბ) ლიტერატურული მასალის შერჩევა, ილუსტრაციების ჩათვლით (მოსახევ ფურცელში) | — | 0,6—3,6 |
| 14. კროსვორდები, ჩაინვორდები, კრიპტოგრამები, ვიქტორინები, რებუსები, გამოცანები, შარადები | — | 6—24 |
| 15. პლაკატის თემის დამუშავება, ტექსტისა და ციფრობრივი მასალის ჩათვლით, ყველა სახეობის პლაკატებისათვის | — | 12—36 |
| 16. კომენტარები და შენიშვნები | 48—140 | — |

**შენიშვნა:** შესავალ სტატიაში, წინასიტყვაობაში, ბოლოსიტყვაობაში, რომლებიც ავტორმა თავისი ნაწარმოებისათვის დაწერა, ჰონორარი გაიცემა ძირითადი ნაწარმოებისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. შედგენისათვის:

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| 1. ანდაზების, ანდაზური თქმების, მოსწრებული სიტყვების კრებულები | 60, 90, 125 | — |
| 2. ენციკლოპედიური ხასიათის თემატიკური კრებულები და წიგნები ბავშვებისათვის | 25, 50, 100 | — |
| 3. მხატვრული ლიტერატურის ქრესტომათიები | 37, 55, 75 | — |
| 4. ლიტერატურულ მასალათა კრებულები, ერთტომეულები, რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები და თხზულებათა კრებულები: | | |
| ა) მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მომზადებით | 24—60 | — |
| ბ) ტექსტოლოგიური მომზადების გარეშე | 6—50 | — |
| 5. საარქივო მასალათა კრებულები | 12—37 | — |
| 6. ოფიციალურ მასალათა სისტემატიზებული კრებულები, ანოტირებული და სხვა კატალოგები | 12—25 | — |
| 7. მუსიკალური კრებულები, სადაც ჭარბობს სიტყვიერი ტექსტი | 13, 25, 38, 50 | — |
| 8. მუსიკალური კრებულები, სადაც ჭარბობს მუსიკალური მასალა | — | არა უმეტეს 13 მანეთისა კრებულში შეტანილი თითოეული ნაწარმოებისათვის |
| 9. სიტყვანები ყველა სახეობის ლექსიკონებისათვის, მათ შორის სპეციალური | 0,06—0,12 სიტყვაში | — |
| 10. მცირე მოცულობის სიტყვანები (250 ტერმინამდე) | 0,09—0,18 სიტყვაში | — |
| 11. ანოტირებული სიტყვანები | 0,12—0,24 სიტყვაში | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახზე (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| 12. ძველ ხელნაწერთა ძებნა და შერჩევა, მათი რედაქტირება და დასაბეჭდად ხელმისაწვდომ მდგომარეობაში მოყვანა | 187—375 | — |
| 13. რეფერატები და მიმოხილვები: | | |
| ა) წყაროებით ქართულ ენაზე, რომელზეც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა | 43—75 | — |
| ბ) წყაროებით უცხო ენებსა და სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გარდა ქართული ენისა და იმ ენისა, რომელზეც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა | 55—120 | — |
| გ) შერეული წყაროებით (ქართული, სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებსა და უცხო ენებზე) | 48—100 | — |
| 14. ფოტოალბომები | 50—75 | — |
| 15. ფოტოილუსტრაციათა წარწერები — ყოველ 10 წარწერაში | — | 6-12 |

**შენიშვნა:** საგანთა, სახელთა და სხვა საძიებლების შედგენა ნაზღაურდება იმ წიგნის მოცულობის შესაბამისად, რომლისთვისაც შედგენილია საძიებელი, შემდეგი გაანგარიშებით: საგანთა საძიებლები — 2,5-8,5 მანეთი წიგნის ერთ საავტორო თაბახში, სახელთა და სხვა საძიებლები — 2,5-5 მანეთი წიგნის ერთ საავტორო თაბახში.

როცა საძიებელი ხელახლა გამოიცემა უცვლელი სახით, ჰონორარი არ გაიცემა.

ოფიციალური პირების და ორგანოების მიერ დამტკიცებული, სავალდებულო გამოყენებისათვის გამოცემული მასალების, სასწავლო პროგრამების, სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების, ნომენკლატურა-საფასურების, მოწყობილობის ექსპლუატაციის და სხვა წესების შემდგენლებს ჰონორარი არ მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დ. თარგმანისათვის:**

| ლიტერატურის სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი საავტორო თაბახზე (40 ათასი ნიშანი) — მანეთი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი გამოცემისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| 1. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, პიესები, სცენარები, მეცნიერულ-მხატვრული, მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა, კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის ნაწარმოებები): | | |
| — ჩვეულებრივი გამოცემა | 100—175 | — |
| — მასობრივი გამოცემა | 150—225 | — |
| 2. პოეზია (მათ შორის ბავშვებისათვის, პიესები ლექსად): | | |
| — ჩვეულებრივი გამოცემა | 1—1,75 (სტრიქონში) | — |
| — მასობრივი გამოცემა | 1,5—2,25 (სტრიქონში) | — |
| 3. სასიმღერო ლექსის ტექსტი, მოცულობის მიუხედავად | — | 43, 55, 80, 105, 125, 150 |
| 4. ეპიგრამა, ლექსის ტექსტი პლაკატისათვის | — | 6, 25, 50 |
| 5. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები | 60—120 | — |
| 6. მეცნიერული ლიტერატურა ცოდნის ყველა დარგში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა, ცნობარები | 50—100 | — |
| 7. სახელმძღვანელოები | 50—75 | — |
| 8. სხვა ლიტერატურა | 37—75 | — |

**შენიშვნები:**

1. მე-3-8 პუნქტებში აღნიშნული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები წესდება ტირაჟის მიუხედავად.

2. თარგმანის მოცულობა საავტორო თაბახსა და ლექსის სტრიქონებში წესდება თარგმანის ტექსტის მიხედვით. თარგმანის ტექსტის საერთო მოცულობის გამოანგარიშებისას ცხრილები, დიაგრამები და ილუსტრაციები, გარდა ფორმისა, გამოირიცხება.

3. იშვიათი და ძველი ენებიდან, აგრეთვე ხვეული დამწერლობის, თავისი გრაფიკის, იეროგლიფებისა და ლურსმული დამწერლობის მქონე ენებიდან თარგმნის, აგრეთვე ხვეული დამწერლობის, თავისი გრაფიკის, იეროგლიფებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლურსმული დამწერლობის მქონე იშვიათი ენებისათვის უცხო ენებზე თარგმნის დროს საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი დიდდება 25 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან უცხო ენებზე თარგმნის დროს — 15 პროცენტით.

4. მთარგმნელის მიერ ბწკარედი თარგმანის გამოყენებისას გამომცემლობის მიერ ანაზღაურებული ბწკარედის ღირებულება გამოაკლდება ლიტერატურული მთარგმნელის გასამრჯელოს.

ბწკარედი თარგმანი ნაზღაურდება ერთხელ, ტირაჟის მიუხედავად, და ხელახლა გამოცემისათვის გასამრჯელოს მიღების უფლების გარეშე:

პოეზია — 7-დან 25 კაპიკამდე სტრიქონში;

მხატვრული პროზა — 13-დან 50 მანეთამდე საავტორო თაბახში.

პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოებები — 12-დან 50 მანეთამდე საავტორო თაბახში.

5. არა ორიგინალიდან, არამედ სხვა თარგმანიდან თარგმნილ ნაწარმოებთა გამოცემისას გამოყენებული თარგმანის ავტორს გასამრჯელო მიეცემა: ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნისას — ამ დადგენილების I განაყოფის „დ" ქვეგანაყოფის 1-8 პუნქტებით შესაბამისი სახეობების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დაწესებული განაკვეთის 60 პროცენტი, პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის (გარდა მხატვრულისა) ნაწარმოებთა თარგმნისას — 30 პროცენტი.

ზემოაღნიშნული გასამრჯელო გაიცემა ორიგინალის ავტორისა და სხვა მთარგმნელთა გასამრჯელოს მიუხედავად.

ზემოაღნიშნული თარგმანების ხელახლა გამოცემისას გასამრჯელო გამოყენებული შუალედური თარგმანის ავტორს მიეცემა ამ დადგენილების II განაყოფის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით და წესით, ამ პუნქტის I აბზაცში გათვალისწინებული გასამრჯელოს ოდენობიდან გამომდინარე.

6. ამ ქვეგანაყოფის 1-2 პუნქტებში აღნიშნული ნაწარმოებების თარგმანისათვის ტირაჟის (ჩვეულებრივი ან მასობრივი) ნორმები განისაზღვრება ამ დადგენილების I განაყოფის „ა" ქვეგანაყოფით შესაბამისი ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დაწესებული ტირაჟის ნორმების მიხედვით. ასეთ თარგმანთა ჩვეულებრივი და მასობრივი გამოცემები ნაზღაურდება II განაყოფის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მუსიკალურ და მუსიკალურ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის:

| ნაწარმოებთა სახეობანი | ტირაჟის ნორმები (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| **ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, მიუზიკლი (კლავირი ან პარტიტურა)** | | |
| 1. ოპერა (მრავალაქტიანი) | 5 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 1980, 2640, 3300, 3960 |
| 2. ბალეტი (მრავალაქტიანი) | 3 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 1320, 1760, 2200, 2750 |
| 3. მრავალაქტიანი მუსიკალური კომედია, ოპერეტა, მიუზიკლი | 5 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 1100, 1320, 1650, 1980 |
| 4. ერთაქტიანი ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, ოპერეტა, მიუზიკლი | 5 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 242, 484, 726, 968 |
| **ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრებისათვის (კლავირი ან პარტიტურა)** | | |
| 5. სიმფონია | 2 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 990, 1100, 1320, 1540 |
| 6. ორატორია | 2 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 880, 990 1100, 1210 |
| 7. კანტატა | 2 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 495, 550 660, 770 |
| 8. კონცერტი ორკესტრთან ერთად, კონცერტი ორკესტრისათვის, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა) | 2 კლავირი<br>0,5 პარტიტურა | 726, 847 1045, 1210 |
| 9. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, რაფსოდია და სხვა ანალოგიური სიმფონიური ნაწარმოებები | 3 კლავირი<br>1 პარტიტურა | 440, 550, 660, 880 |
| 10. მცირე სიმფონიური ნაწარმოებები (მარში, ცეკვა და სხვ.) | 6 კლავირი<br>3 პარტიტურა | 181, 242, 302. 420 |
| **ნაწარმოებები ხალხურ ინსტრუმენტთა ორკესტრებისა და სასულე ორკესტრებისათვის** | | |
| 11. კონცერტი ორკესტრთან ერთად, სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, პოპური და სხვ. | — | 500—800 |
| 12. მცირე ფორმების ნაწარმოებები (მარში, ცეკვა და სხვ.) | — | 150—300 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | ტირაჟის ნორმები (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| **ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრებისა და საკონცერტო ანსამბლებისათვის** | | |
| 13. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია | 3 პარტიტურა | 250, 313, 438, 500 |
| 14. მცირე პიესები (მარში, ცეკვა და სხვ.) | 10 პარტიტურა | 94,125, 150, 188 |

შენიშვნა: ამ ქვეგანაყოფის მე-11-14 პუნქტებით გათვალისწინებული ნაწარმოებები წარმოდგენილია პარტიტურებში. კლავირის წარმოდგენის შემთხვევაში ანაზღაურება ხდება პარტიტურის ანაზღაურებისათვის დაწესებული განაკვეთის 40 პროცენტამდე ოდენობით.

| | | |
|---|---|---|
| **კამერული ნაწარმოებები** | | |
| 15. კვინტეტი, კვარტეტი, ტრიო და სხვა ანსამბლები, სოლო ან ანსამბლის სონატა | 1 პარტიტურა | 363, 423 550, 605 |
| 16. სიუიტა კამერული ანსამბლისათვის, ვარიაციები, სკერცო და სხვ. | 1,5 პარტიტურა | 181, 242, 302, 363 |
| 17. მცირე ნაწარმოებები (ცალკეული ინსტრუმენტებისათვის (ნოქტიურნი, პრელუდი, ეტიუდი, ცეკვა და სხვ.): | | |
| ა) საკონცერტო შესრულებისათვის | 3 | 60, 88, 110 |
| ბ) პედაგოგიური | 10, ხოლო სწავლების პირველი საფეხურებისათვის — 50 | 22, 49, 88, 110 |

**შენიშვნები:**

1. ორიგინალურ ნაწარმოებად, როგორც წესი, მიიღება პარტიტურა, ხოლო კლავირი ფასდება როგორც გადმოღება და ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებისათვის შესაბამისი გასამრჯელოს 40 პროცენტამდე ოდენობით. ცალკეულ შემთხვევებში (ოპერის, ბალეტის, მუსიკალური კომედიის გამოცემისას) ორიგინალურ ნაწარმოებად შეიძლება მიღებულ იქნეს კლავირი; ასეთ შემთხვევებში გადმოღებად მიიღება პარტიტურა, რომელიც ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებისათვის შესაბამისი გასამრჯელოს 40 პროცენტამდე ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ჯიბის პარტიტურების“ სახით მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისას გამოცემის ტირაჟი განისაზღვრება 5 ათასი ცალის რაოდენობით.

| ვოკალური ნაწარმოებები | ტირაჟის ნორმები (ათასი ცალი) | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის (მანეთი) |
|---|---|---|
| **ვოკალური ნაწარმოებები** | | |
| 18. მრავალნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე | 2 | 484, 605, 726, 968 |
| 19. ერთნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე | 10 | 121, 159, 192, 242 |
| 20. მრავალნაწილიანი საგუნდო ნაწარმოებები ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანემენტით | 3 | 363, 484, 605, 726 |
| 21. ერთნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანემენტით | 15 | 88, 121 154, 181 |
| 22. ვოკალური ანსამბლები აკომპანემენტით და უაკომპანემენტოდ (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და სხვ.) | 10 | 88, 121, 154, 181 |
| 23. მასობრივი ან საესტრადო სიმღერა ხმის ან გუნდისათვის ფორტეპიანოს ან ბაიანის აკომპანემენტით | 25-300 (ფურცელ-სიმღერა) | 60, 77, 99, 110 |
| 24. საკონცერტო ნაწარმოებები ხმისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით (რომანსი, ბალადა, ვოკალიზი და სხვ.) | 5 | 60, 88, 110, 132 |
| **ტექსტები მუსიკალური ნაწარმოებებისათვის** | | |
| 25. ოპერის ლიბრეტო | ტირაჟები განისაზღვრება მუსიკალურ ნაწარმოებთა შესაბამისი სახეობების მიხედვით | 500, 625, 750, 1000, |
| 26. ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო | | 375, 500, 625, 750 |
| 27. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო | | 188, 225, 275, 313 |
| 28. ორატორიის ლიბრეტო | | 250, 375, 500, 625 |
| 29. კანტატის ლიბრეტო | | 125, 188, 275, 375 |
| 30. სიმღერისა და რომანსის ლექსის ტექსტი | | 63, 75, 100, 125 |

**შენიშვნები:**

1. ლიბრეტოს ცალკე ბროშურად გამოცემისას ტირაჟი განისაზღვრება 50 ათასი ცალის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს ნაწარმოებები გამოიცემა მათთვის დაწერილი მუსიკითურთ, ან როგორც სპექტაკლის ან კონცერტის ახსნა-განმარტება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების გამოცემისას გამოიყენება ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები.

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| **მუსიკალურ-პედაგოგიური ნაწარმოებები** | | |
| 31. მუსიკის თვითმასწავლებელი | 300 | 250, 500, 750, 1000 |
| 32. დაკვრის სკოლა | 50 | • |

**შენიშვნები:**

1. მუსიკის სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მუსიკათმცოდნეობის, მუსიკის ისტორიისა და თეორიის წიგნები და მუსიკასთან დაკავშირებული სხვა ლიტერატურული ნაშრომები ნაზღაურდება შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის დადგენილი წესით.

2. მელოდიების თავისუფალი დამუშავება (დამუშავების ორიგინალური მუსიკალური ფაქტურა) ნაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა განაკვეთების 75-100 პროცენტის ოდენობით.

დამუშავება, რომელსაც ორიგინალური ნაწარმოების მუსიკალურ ფაქტურაში ახალი შემოქმედებითი ელემენტები შეაქვს, ნაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა განაკვეთების 50-75 პროცენტის ოდენობით.

3. ორიგინალური ნაწარმოების ფაქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია მხოლოდ დამუშავებისა და სხვა სახის შესრულებასთან მისადაგების აუცილებლობით, ნაზღაურდება როგორც გადმოღება.

გადმოღება (მზა ავტორისეული მასალის გამოყენება სხვა სახით შესრულებისათვის, კლავირი და ა. შ.) ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) რთული მუსიკალური ფაქტურის მქონე გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 20-40 პროცენტის ოდენობით;

ბ) უმარტივესი სახის გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 5-15 პროცენტის ოდენობით;

გ) დირექციონების შედგენა — 50 კაპიკამდე ტაქტში.

4. ორკესტრისათვის გადაღება ნაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) ორკესტრისათვის გადაღების რთული სახეობანი (სიმფონიური ორკესტრების, ხალხურ და სასულე ინსტრუმენტთა ორკესტრებისათვის და სხვა რთული სახეობებისათვის) — 50-75 კაპიკი ტაქტში;

ეროვნული

ბ) ორკესტრისათვის გადაღების მარტივი სახეობები — 20-40 [illegible] ტაქტში.

5. დამუშავება და გადმოღება ნაზღაურდება იმ სახის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებული განაკვეთებიდან გამომდინარე, რომელსაც მიეკუთვნება ეს თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

6. დამუშავებული ან გადმოღებული თხზულების ავტორს გასამრჯელო მიეცემა ტირაჟის ნორმებიდან და იმ სახის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებული მინიმალური განაკვეთის 10 პროცენტიდან გამომდინარე, რომელსაც მიეკუთვნება ეს თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

7. ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა ჩანაწერები (სირთულის, ჟღერადობის ხანგრძლივობისა და ხმის რაოდენობის შესაბამისად) ნაზღაურდება 5-დან 32 მანეთამდე ოდენობით მთელი ნაწარმოებისათვის.

ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა ჩანაწერი ნაზღაურდება ხმის რაოდენობისა და ფაქტურის სირთულის შესაბამისად ვოკალური ჩანაწერების სათანადო განაყოფების მიხედვით დაწესებული განაკვეთების თანახმად.

8. ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა გადმოღება, დირექციონი და ორკესტრისათვის გადაღება, აგრეთვე ჩანაწერი (დაუმუშავებლად) ნაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად და არ ნაზღაურდება ხელახლა გამოცემისას.

**ვ. ილუსტრაციები:**

1. წიგნის ავტორის მიერ წარდგენილი საილუსტრაციო მასალა წიგნებში, ალბომებში და ა. შ. ნაზღაურდება აკორდულად ან ცალობრივად ავტორთან შეთანხმებით. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, ანაზღაურება ხდება შემდეგი ოდენობით:

ა) ორიგინალური ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა წარადგინა მზა, ნაბეჭდი ფორმის დასამზადებლად გამოსადეგი სახით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 100 პროცენტი;

ბ) ორიგინალური საილუსტრაციო მასალა, რომელიც მოითხოვს საბოლოო დამუშავებას, შელამაზებას, შესწორებას ან რეტუშს ავტორის მიერ წარდგენილი ორიგინალების მიხედვით, აგრეთვე ილუსტრაციები, რომლებიც მოითხოვენ გადახატვას, ამოხაზვას ავტორის მიერ წარმოდგენილი მონახაზების, ესკიზების ან ფოტოსურათების მიხედვით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 40 პროცენტი;

გ) ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა შეარჩია სხვა გამოცემებიდან ან სამსახურებრივი მასალებიდან, წყაროების მითითებით ან ამონაჭრების თანდართვით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 25 პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს 50 მანეთისა საავტორო თაბახში.

2. გამომცემლობის ინიციატივით ავტორის ნებართვით შექმნილი ილუსტრაციები არ ნაზღაურდება.

60×84 სანტიმეტრი ქაღალდის ფურცლის არანაკლებ ერთი მერვედი ფორმატით გამოშვებულ ალბომებში მოთავსებული ილუსტრაციისათვის საავტორო ჰონორარის ასანაზღაურებლად საავტორო თაბახი უდრის ასანაზღაურებელი ალბომის 8 გვერდს.

დანარჩენ გამოცემებში ილუსტრაციის საავტორო თაბახი უდრის დაბეჭდილ ნაწარმოებში ილუსტრაციის ფართობის 3000 კვადრატულ სანტიმეტრს.

3. წიგნებში (მათ შორის მუსიკალურ კრებულებში, სადაც ჭარბობს სიტყვიერი ტექსტი) საავტორო თაბახის გამოანგარიშებისას სანოტო მაგალითებით დაკავებული ფართობის 300 კვადრატული სანტიმეტრი უდრის ერთ საავტორო თაბახს. წიგნებში მოთავსებული სანოტო მაგალითები ნაზღაურდება: ორიგინალური — თაბახის განაკვეთის 100 პროცენტი, ნასესხები — თაბახის განაკვეთის 25 პროცენტი.

**განაყოფი II**

1. ამ დადგენილების I განაყოფის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეგანაყოფებით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით საავტორო ჰონორარი გაიცემა ნაწარმოების პირველი გამოცემისათვის.

2. ცენტრალურ და რესპუბლიკურ გამომცემლობებს უფლება ეძლევათ გასცენ ცალკეულ შემთხვევებში საავტორო გასამრჯელო:

მაღალი იდეურ-მხატვრული დონის მხატვრული პროზისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემისათვის 10 საავტორო თაბახზე ნაკლები მოცულობით — მთლიანად ნაწარმოებისათვის 10000 მანეთამდე ოდენობით;

მხატვრული პროზის ნაწარმოებთა გამოცემისათვის 200 ათასი ცალი და მეტი ტირაჟით — განაკვეთების მიხედვით საავტორო თაბახში 1500 მანეთამდე ოდენობით (რომელიმე წინა გამოცემის გაუთვალისწინებლად და ტირაჟის ნორმების გადამეტების აუნაზღაურებლად).

3. გაიცეს საავტორო გასამრჯელო ყველა სახეობის ლიტერატურულ-მხატვრული, მუსიკალური და მუსიკალურ-ლიტერატურული და სხვა ნაწარმოებების ხელახლა გამოცემისათვის იმ განაკვეთის 70 პროცენტის ოდენობით, რაც დაწესებულია ავტორისათვის მისაცემად მისი ნაწარმოების პირველი გამოცემისათვის.

4. ნაწარმოებთა გამოქვეყნება გაზეთებში, ჟურნალებსა და ალმანახებში მოცემული ნაწარმოების გამოცემათა რაოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

ნაწარმოებთა გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურულ დამატებებში მხედველობაში მიიღება როგორც ერთი ჩვეულებრივი გამოცემა.

ნაწარმოების გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას მისი გამოქვეყნება თითოეულ ენაზე ცალკე აღირიცხება.

5. ჩვეულებრივი გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოცემული ნაწარმოების ყველა წინანდელი გამოცემა იმავე ენაზე (ჩვეულებრივი და მასობრივი), რომლებიც მანამდე გამოვიდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

მასობრივი გამოცემები ცალკე აღირიცხება.

პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოების გამოცემის რიგითი ნომრის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრისას მხედველობაში მიიღება ან ნაწარმოების ყველა წინანდელი გამოცემა, რომლებიც მანამდე გამოვიდა იმავე ენაზე სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ტირაჟების მიუხედავად.

გამოცემის, მუსიკალური და მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოების რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა წინანდელი გამოცემა, ტირაჟებისა და გამოსვლის დროის მიუხედავად.

6. ხელახლა გამოცემად ითვლება მოცემული ნაწარმოების ყოველი ახალი გამოცემა, რომელიც გამოვიდა ხელშეკრულებით ან კანონით დაწესებული წინა გამოცემის გამოსვლის ვადის გასვლის შემდეგ ან გამოვიდა ამ ვადის ფარგლებში, მაგრამ ავტორის მიერ გადამუშავებული სახით. დაგეგმილი ტირაჟის ნაწილ-ნაწილ გამოშვება დაწესებულ ვადებში და ტირაჟის დაწესებული ნორმების ფარგლებში (მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთათვის) ავტორს არ აძლევს დამატებითი გასამრჯელოს მიღების უფლებას.

7. მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომთა ჩვეულებრივი და მასობრივი გამოცემები შემდეგნაირად ნაზღაურდება:

ა) თუ ნაწარმოები გამოდის ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ და „დ“ ქვეგანაყოფებში აღნიშნულ ნორმებზე გადამეტებული ტირაჟით, ნორმის გადამეტება ნაზღაურდება როგორც ერთი ან რამდენიმე განმეორებითი გამოცემა (მოცემული სახის ნაწარმოებთათვის დაწესებული ტირაჟის ნორმის გადამეტებით გამოცემული ეგზემპლარების რაოდენობის შესაბამისად);

ბ) თუ ნაწარმოები გამოდის ჩვეულებრივი გამოცემებისათვის დაწესებულ ნორმებზე ნაკლები ტირაჟით (არასრული ჩვეულებრივი გამოცემა), ჰონორარი გაიცემა როგორც ტირაჟის სრული ნორმისათვის;

გ) მასობრივ გამოცემებად ითვლება წიგნების გამოცემა არანაკლებ იმ ტირაჟისა, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფის მე-18-27-ე ქვეპუნქტებში;

დ) თუ ნაწარმოები გამოდის ერთბაშად მასობრივი ტირაჟით, წინა ჩვეულებრივი გამოცემის გარეშე, ამ ნაწარმოებისათვის ჰონორარი გაიცემა როგორც ერთი ჩვეულებრივი (100 პროცენტი) და ერთი მასობრივი (100 პროცენტი) გამოცემისათვის; შემდგომ, ხელახლა გამოცემისას, ასეთი გამოცემა აღირიცხება როგორც ერთი მასობრივი გამოცემა;

ე) თუ პირველ მასობრივ გამოცემას წინ უძღოდა ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი გამოცემა, ჰონორარი მოცემული მასობრივი გამოცემისათვის გაიცემა მასობრივი გამოცემის განაკვეთის მიხედვით 100 პროცენტის ოდენობით, შემდგომი მასობრივი გამოცემები ნაზღაურდება II განაყოფის მე-3 პუნქტში დაწესებული ოდენობით.

8 დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას უნდა მიეკუთვნოს მასობრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული და მონოგრაფიული ლიტერატურა შემდეგ საკითხებზე:

ა) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია და მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ისტორია, პარტიული და საბჭოთა მშენებლობა;

ბ) ფილოსოფია, მეცნიერული კომუნიზმი;

გ) სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა;

დ) სახელმწიფო და სამართალი;

ე) ისტორია;

ვ) საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;

ზ) სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკა;

თ) პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა;

ი) სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

9. შემოღებულ იქნეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორებისათვის ჰონორარის დამატებითი მიცემა შემდეგ შემთხვევებში და ოდენობით:

30 ათას ცალზე მეტი ტირაჟით მასობრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პოპულარული წიგნების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 60 ათას ცალზე მეტი ტირაჟით — ჰონორარის 75 პროცენტი;

15 ათას ცალზე მეტი ტირაჟით მონოგრაფიების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 30 ათას ცალზე მეტი ტირაჟით — ჰონორარის 75 პროცენტი;

75. ათას ცალზე მეტი ტირაჟით სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი.

ზემოაღნიშნული დამატებითი თანხების გადახდა გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ცნობარები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმანი ნაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად.

10. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდა ხდება შემდეგი წესით: მასობრივ-პოლიტიკური წიგნისათვის ჰონორარი გაიცემა სრული ოდენობით პირველ 5 საავტორო თაბახში, მეცნიერულ-პოპულარული წიგნისათვის — პირველ 10 საავტორო თაბახში; აღნიშნული მოცულობის გადამეტებით საავტორო ჰონორარი თაბახში გაიცემა განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით.

უფლება მიეცეთ გამომცემლობებს გადაუხადონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე საუკეთესო ბროშურათა ავტორებს 4 საავტორო თაბახამდე მოცულობით ჰონორარი აკორდულად (მთელი ბროშურისათვის) 2000 მანეთამდე ოდენობით. ასეთი ბროშურების აკორდული ანაზღაურება შეიძლება

ეროვნული

განხორციელდეს მხოლოდ გამოცემული ნაწარმოების მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი აღიარების შემდეგ.

11. თუ ნაწარმოები გადაამუშავა ან შეავსო ავტორმა (შემდგენელმა) მორიგი გამოცემისათვის, მაშინ ხელახლა გამოსაცემ ნაწარმოებში შეტანილი ახალი მასალის მთელი ფაქტიური მოცულობისათვის საავტორო ჰონორარი გაიცემა განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით. დანარჩენი ტექსტი ნაზღაურდება გამოცემის რიგითი ნომრის შესაბამისად.

ახალ მასალად ითვლება მთელი ახალი ტექსტი, სტილისტური და რედაქციული გასწორების გარდა.

შემდგომი გამოცემების დროს მთელი ნაწარმოები სრულად ნაზღაურდება გამოცემის რიგითი ნომრის შესაბამისად, წინა გამოცემებში მასალის განახლების მიუხედავად.

თუ ნაწარმოები გამოდის სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ, საავტორო ჰონორარი გაიცემა ცალკე თითოეული ნაწილისათვის, მათი წინანდელი გამოცემების რაოდენობის მიუხედავად.

12. ერთი ავტორის თხზულებათა კრებულების, რჩეულ ნაწარმოებთა კრებულებისა და ნაწარმოებთა ერთტომეულების გამოცემის დროს ჰონორარი გაიცემა ცალკე თითოეული ნაწარმოებისათვის, მოცულობისა და წინანდელ გამოცემათა რაოდენობის შესაბამისად, ტირაჟის სათანადო განაკვეთების გამოყენებით (ნაწარმოების სახეობის მიხედვით).

ანალოგიურად ნაზღაურდება სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა კრებულებში მოთავსებული ნაწარმოებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დადგენილებით (განაყოფი I) მოცემული სახეობის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებულია აკორდული ანაზღაურება, მოცულობის მიუხედავად.

ავტორის სიცოცხლეში გამოსულ თხზულებათა კრებულების გამოცემისას ჰონორარი ტირაჟის (ჩვეულებრივი ან მასობრივი) პირველი ნორმისათვის გაიცემა 100 პროცენტის ოდენობით, თხზულებათა კრებულში შეტანილი ნაწარმოებების წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიუხედავად. ტირაჟის ნორმების გადამეტება და ხელახლა გამოცემული ნაწარმოებები ნაზღაურდება II განაყოფის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით; ამასთან მოცემული ავტორის თხზულებათა კრებულის გამოცემების რაოდენობა იანგარიშება 1968 წლის შემდეგ განხორციელებული (დამთავრებული) პირველი სიცოცხლისდროინდელი გამოცემიდან.

**შენიშვნა:** თხზულებათა კრებულად ითვლება ერთი ავტორის ნაწარმოებთა განსაკუთრებული (როგორც წესი, რამდენიმეტომიანი) გამოცემა, რომლის შემოქმედებამ საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა, აჯამებს მის შემოქმედებითს შედეგებს და მოიცავს ამ ავტორის მიერ სხვადასხვა ჟანრში, თავისი შემოქმედებითი გზის ძირითად ეტაპებზე შექმნილ ნაწარმოებთა უმრავლესობას.

13. ორი ან რამდენიმე ავტორის, მათ შორის სპეციალისტი ავტორისა და ნაწარმოების ლიტერატურულად გაფორმებული ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოცემისათვის ჰონორარი გაიცემა ამ დადგენილებით დაწესებუ-

ლი განაკვეთების მიხედვით და ნაწილდება თანაავტორთა შორის მათი შეთანხმებით.

14. უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ავტორებს ჰონორარი მიეცემათ მხოლოდ სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს დაწესებული მოცულობისათვის, ავტორის მიერ წარდგენილი ხელნაწერისა და გამოშვებული სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს ფაქტიური მოცულობის მიუხედავად.

**შენიშვნა:** სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა წინათ დაწესებულ მოცულობაში საჭირო ცვლილებების შეტანის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტენ სამინისტრო ან სხვა ორგანიზაციები, რომლებმაც განსაზღვრეს სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ზღვრული მოცულობანი.

15. თუ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელო ან დამხმარე სახელმძღვანელო ხელახლა გამოცემისას გადამუშავდება, მაშინ ახალი მასალისათვის საავტორო ჰონორარი გაიცემა II განაყოფის მე-11 პუნქტში აღნიშნული წესითა და ოდენობით, მაგრამ ახალი მასალის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც ძველ მასალასთან ერთად არ აღემატება სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს დაწესებულ ზღვრულ მოცულობას.

16. როდესაც ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოიცემა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), რომელიც თავდაპირველად დაბეჭდილია სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე სხვა ენაზე, გარდა რუსულისა, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფით გათვალისწინებული განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით (ნაწარმოების სახეობის მიხედვით). ასეთივე უფლებით სარგებლობენ იმ ნაწარმოებთა ავტორები, რომლებიც ითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენიდან და გამოიცა რუსულად. როდესაც საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე გამოიცემა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), რომელიც თავდაპირველად დაბეჭდილია რუსულ ენაზე, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი აღნიშნული სახეობის ნაწარმოებისათვის დაწესებული მინიმალური განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით, მიუხედავად ტირაჟისა.

ამასთან თავდაპირველად რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაწარმოების თარგმანის ყოველი ხელახალი გამოცემისათვის ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი მიეცემა ტირაჟის მიუხედავად.

სსრ კავშირში მცხოვრები ავტორი უცხო ენაზე ან სსრ კავშირის ხალხთა იმ ენაზე შექმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისა, რომელზეც

ეროვნული

არ ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობა და ამის გამო იგი თავდაპირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა, ასეთი ნაწარმოების საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა ენებზე გამოცემისას ჰონორარს მიიღებს ისეთ ნაწარმოებთა ავტორებისათვის დადგენილი წესით, რომლებიც თავდაპირველად დაიბეჭდა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენაზე, გარდა რუსულისა.

17. დაწესდეს, რომ წინათ გამოუქვეყნებელი ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმანის გამოცემისას მთარგმნელს ჰონორარს უხდის გამომცემლობა, როგორც წესი, ნაწარმოების ავტორის ხარჯზე და ავტორი ჰონორარს მიიღებს ხელშეკრულებაში აღნიშნული განაკვეთის მიხედვით იმ თანხის გამოქვითვით, რაც გამომცემლობამ გადაუხადა მთარგმნელს.

თუ ხელნაწერი არ შეიძლება გამოიცეს ორიგინალის ენაზე იმის გამო, რომ სსრ კავშირში არ წარმოებს საგამომცემლო საქმიანობა ამ ენაზე, ანდა ნაწარმოები იქმნება გამომცემლობის შეკვეთით და ხელშეკრულებაში სპეციალურად არის გათვალისწინებული, რომ ხელნაწერი წარმოდგენილია სხვა ენაზე თარგმანის სახით გამოსაცემად, ნება დაერთოთ გამომცემლობებს გადაუხადონ მთარგმნელს კუთვნილი ჰონორარი გამომცემლობათა ხარჯზე.

18. დაწესდეს, რომ ავტორებსა და მათს მემკვიდრეებს მიეცემათ საავტორო გასამრჯელო საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენების შემდეგი სახეობებისათვის (ნაწარმოებთა გამოყენების იმ სახეობების გარდა, რომლებისთვისაც საავტორო გასამრჯელოს გაცემა დაწესებულია ადრე):

ა) თავდაპირველად სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე გამოცემული ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებების გამოცემისათვის (მათ შორის ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებში) უცხო ენებზე თარგმანის სახით — ორიგინალის ენაზე ასეთ ნაწარმოებთა პირველი გამოცემისათვის დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 30 პროცენტის ოდენობით.

თარგმანის სახით ნაწარმოების გამოცემის სახელშეკრულებო ვადის ფარგლებში განხორციელებული ყველა ზემოაღნიშნული გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა ენობრივი ვარიანტების მიუხედავად, მაგრამ ტირაჟის ნორმების გადამეტების ანაზღაურების თაობაზე მოქმედი წესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმანის სახით მომდევნო გამოცემებისათვის (ხელახლა გამოცემისათვის) ავტორს გასამრჯელო მიეცემა უცხო ენებზე თარგმანის სახით პირველი გამოცემის განაკვეთის პროცენტებით, რომლებიც დაწესებულია მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა ხელახლა გამოცემის ასანაზღაურებლად, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოცემული ნაწარმოების უცხო ენებზე თარგმანის სახით ყველა გამოცემის გათვალისწინებით, რომლებიც გამოვიდა 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ;

ბ) სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე თავდაპირველად გამოცემული პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის (გარდა მხატვრულისა) ნაწარმოებების გამოცემისათვის სხვა ენებზე, მათ შორის უცხო ენებზე, თარგმანის სახით — ორიგინალის ენაზე შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი სახეობების ნაწარმოებთა პირველი გამოცემისათვის დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 30 პროცენტის ოდენობით.

ამ პუნქტში აღნიშნული ნაწარმოებების თარგმანის სახით მომდევნო გამოცემებისათვის საავტორო გასამრჯელო უნდა მიეცეს ავტორს შემდეგი ოდენობით: მეორე და მესამე გამოცემებისათვის — თარგმანის სახით ნაწარმოების პირველი გამოცემის ასანაზღაურებლად დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 40 პროცენტი, მეოთხე და მეხუთე გამოცემებისათვის — 30 პროცენტი, მეექვსე და მეშვიდე გამოცემებისათვის — 15 პროცენტი, მერვე და მომდევნო გამოცემებისათვის — 10 პროცენტი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა ენებზე თარგმანის სახით ნაწარმოების ხელახლა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სსრ კავშირის ტერიტორიაზე ამ ნაწარმოების ყველა წინანდელი გამოცემა, ხოლო უცხო ენებზე თარგმანის სახით ნაწარმოების ხელახლა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას — 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ გამოსული გამოცემები;

გ) სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ან უცხო ენებზე შექმნილი მხატვრული, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმანის სახით პირველი გამოცემისათვის, რომლებიც ამ გამოცემამდე არც ერთ ენაზე არ გამოქვეყნებულა, — ორიგინალის ენაზე შესაბამის ნაწარმოებთა პირველი გამოცემის ასანაზღაურებლად დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით.

ამ პუნქტში აღნიშნული ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმანის სახით მომდევნო გამოცემებისათვის ავტორს საავტორო გასამრჯელო მიეცემა ამ განაყოფის მე-3 პუნქტში დაწესებული ოდენობით — ლიტერატურის სახეობის შესაბამისად, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული ნაწარმოები.

იმ შემთხვევებში, როცა ამ განაყოფის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამოცემები ხორციელდება ნაწარმოების თარგმანის სახით გამოცემის სახელშეკრულებო ვადის ფარგლებში, ისინი მხედველობაში მიიღება და ანაზღაურდება როგორც ერთი გამოცემა ერთ ენაზე, ენობრივი ვარიანტებისა და ტირაჟის მიუხედავად, გარდა მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებისა, რომლებიც ნაზღაურდება ტირაჟის ნორმების გათვალისწინებით;

დ) მუსიკალურ ნაწარმოებთა ისეთი ტექსტების უცხო ენებზე თარგმანის სახით გამოცემისათვის (მუსიკალურ ნაწარმოებთა ნოტებთან ერთად, ანდა სპექტაკლის ან კონცერტის ახსნა-განმარტების სახით), რომლებიც წინათ უკვე გამოიცა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, — ორიგინალის ენაზე შესაბამის ნაწარმოებთა პირველი გამოცემის ასანაზღაურებლად დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 30 პროცენტის ოდენობით, ენობრივი ვარიანტებისა და ტირაჟის მიუხედავად.

უცხო ენებზე თარგმანის სახით ზემოაღნიშნული ტექსტების მომდევნო გამოცემებისათვის (ხელახლა გამოცემისათვის) ავტორს საავტორო გასამრჯელო მიეცემა უცხო ენებზე თარგმანის სახით პირველი გამოცემის განაკვეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტებით, რომლებიც დაწესებულია ორიგინალის ენაზე მუსიკალური ნაწარმოებთა ტექსტების ხელახლა გამოცემის ასანაზღაურებლად;

ე) ლიტერატურის ნებისმიერი სახეობის ნაწარმოებთა ერთ წიგნად, ბროშურად და ა. შ. გამოცემისათვის (ხელახლა გამოცემისათვის) ერთდროულად ორიგინალის ენაზე და თარგმანის სახით რომელიმე სხვა ენაზე (ენებზე) — ორიგინალის ენაზე ლიტერატურის შესაბამისი სახეობის ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს ასანაზღაურებლად დადგენილი წესითა და ოდენობით.

ზემოაღნიშნული გამოცემა ნაზღაურდება ორიგინალის ენაზე ნაწარმოების მოცულობის მიხედვით, მიუხედავად ენობრივი ვარიანტებისა, და მხედველობაში მიიღება როგორც ერთი გამოცემა ერთ ენაზე.

ვ) ლიტერატურის ყველა სახეობის ნაწარმოებთა შემოკლებისა და ცვლილებისათვის, რასაც გამოცემის სახელშეკრულებო ვადის ფარგლებში ახორციელებენ გამომცემლობის წინადადებით ცალკეული ენობრივი ვარიანტებისათვის თვით ავტორები (ავტორთა უფლებამონაცვლეები), ანდა მათი თანხმობით გამომცემელი ორგანიზაციები, — ერთხელ, ორიგინალის ენაზე ლიტერატურის შესაბამისი სახეობის ნაწარმოებთა პირველი გამოცემის ასანაზღაურებლად დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთის 30 პროცენტამდე ოდენობით, ამასთან ნაწარმოების გადამუშავებული ნაწილის მოცულობისა და განხორციელებულ შემოკლებათა მოცულობის გათვალისწინებით.

აღნიშნული გასამრჯელო გაიცემა იმ ანაზღაურების დამატებით, რაც ხორციელდება უცხო ენებზე თარგმანის სახით ნაწარმოებთა გამოცემისა და ხელახლა გამოცემისათვის ამ განაყოფის ზემოხსენებული პუნქტებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

უცხო ენებზე თარგმნილ ნაწარმოებებში ცალკეული თავების, ნაწილების, კარების, პარაგრაფების, აბზაცების, წინასიტყვაობების, კომენტარებისა და ა. შ. სახით შეტანილი ახალი მასალისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა ერთხელ ორიგინალის ენაზე ლიტერატურის შესაბამისი სახეობის ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს ასანაზღაურებლად დაწესებული განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით, ენობრივი ვარიანტებისა და ტირაჟის მიუხედავად.

19. ამ დადგენილების II განაყოფის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული საავტორო გასამრჯელოს გაცემის ოდენობა და წესი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა საავტორო გასამრჯელოს მიღების უფლება ავტორს ან მის მემკვიდრეს მიეცა 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ.

20. ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომებზე ლიტერატურული შეკვეთის ხელშეკრულების დადებისას გაიცემა ავანსი ხელშეკრულებაში დაწესებული განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით. სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ლიტერატურის შეკვეთის ხელშეკრულების დადებისას გამომცემლობას ეძლევა უფლება მისცეს ავტორს ავანსი მოცემული სახეობის ნაწარმოებთათვის

ეროვნული

დაწესებული მინიმალური განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით, მიუხედავად იმისა, თუ რა განაკვეთია შეპირობებული ხელშეკრულებაში.

21. ამ დადგენილებით გათვალისწინებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები და მათი გამოყენების წესი შემოღებულია 1989 წლის 1 იანვრიდან და გამოიყენება გადასახდელთა მიმართ, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1988 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, წინათ დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განაკვეთების პროპორციული გადიდებით.

ამასთან ავტორებს წინათ მიცემული გასამრჯელოს თანხების მიხედვით ანგარიში ხელახლა არ გაუსწორდებათ.

გადასახდელები, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1989 წლის 1 იანვრამდე, გაიცემა წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით.

22. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გამოსცეს საინსტრუქციო მითითებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი ამ დადგენილების გამოყენების თაობაზე.

23. ამ დადგენილების გამოსვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 5 მარტის № 152 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ივლისის № 519, 1980 წლის 20 მარტის № 223, 1980 წლის 30 მაისის № 464 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 14 თებერვალი, 1989 წ. № 82

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 14 ხელოვნების ნაწარმოებთა შემნისა და საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 ივლისის № 825 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები:

**ა) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და ლიტერატურული ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებისათვის შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისათვის ან გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა პირველი საჯარო შესრულების უფლებისათვის:**

| ნაწარმოების სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთი) |
|---|---|
| **დრამატული ნაწარმოებები** | |
| 1. მრავალაქტიანი პიესა: | |
| პროზად | 1000—4000 |
| ლექსად | 2000—5000 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთი) |
|---|---|
| 2. ერთაქტიანი პიესა | |
| პროზად | 500—1000 |
| ლექსად | 800—1500 |
| 3. მრავალაქტიანი პიესა მოზარდ მაყურებელთა თეატრებისათვის: | |
| პროზად | 1500—4500 |
| ლექსად | 2500—6000 |
| 4. პიესა თოჯინების თეატრებისათვის: | |
| პროზად | 1000—2000 |
| ლექსად | 1500—3000 |
| 5. მრავალაქტიანი ინსცენირება | 500—1500 |
| 6. ერთაქტიანი ინსცენირება | 200—500 |
| 7. მრავალაქტიანი პიესის თარგმანი: | |
| პროზად | 300—800 |
| ლექსად | 600—1200 |
| 8. ერთაქტიანი პიესების თარგმანი: | |
| პროზად | 100—300 |
| ლექსად | 200—500 |
| **მუსიკალური ნაწარმოებები** | |
| 9. ოპერა (მრავალაქტიანი) | 6000—12000 |
| 10 ოპერა საბავშვო მუსიკალური კოლექტივების მიერ შესასრულებლად | 1000—4000 |

**შენიშვნა:** ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის მუსიკალურ ნაწარმოებთა, საბავშვო სამუსიკო სკოლებისათვის მუსიკალურ-პედაგოგიურ ნაწარმოებთა შესაქმნელად შეკვეთების შესრულებისას გამოიყენება თხზულების შესაბამისი ჟანრისათვის დაწესებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები.

| | |
|---|---|
| 11. ბალეტი (მრავალაქტიანი) | 5000—8000 |
| 12. ოპერეტა, მუსიკალური კომედია, მიუზიკლი | 3000—6000 |
| 13. ორატორია (გუნდისათვის a'capella გუნდისათვის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრთან ერთად, სასულე და კამერულ ორკესტრთან ერთად) | 2400—5000 |

| ნაწარმოების დასახელება | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთი) |
|---|---|
| 14. სიმფონია (სიმფონიური ორკესტრისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, სასულე და კამერული ორკესტრისათვის, გუნდისათვის a'capella) | 3000—6000 |
| 15. კანტატა, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები, სიმფონიეტა (სიმფონიური ორკესტრისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, სასულე და კამერული ორკესტრისათვის, გუნდისათვის a'capella) | 2000—4000 |
| 16. კონცერტი (სიმფონიური ორკესტრისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, კამერული და სასულე ორკესტრისათვის, გუნდისათვის a'capella, სოლო ინსტრუმენტებისა და ხმისათვის ორკესტრთან ერთად) | 3000—4000 |
| 17. სიუიტა, ვარიაცია (სიმფონიური ორკესტრისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, სასულე, კამერული და საესტრადო ორკესტრისათვის) | 800—1200 |
| 18. მცირე ერთნაწილიანი ნაწარმოები ორკესტრისათვის | 200—350 |
| 19. რომანსი ხმისათვის ორკესტრთან ერთად | 150—300 |
| 20. ციკლური ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის | 400—800 |
| 21. მარშები სასულე და სხვა ორკესტრებისათვის | 150—400 |
| 22. ცეკვები და მცირე ფორმის ნაწარმოებები ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისათვის, საესტრადო და სხვა ორკესტრებისათვის, მათ შორის პიესა სოლო ინსტრუმენტებისათვის ორკესტრის აკომპანემენტით | 120—250 |
| 23. დიდი ფორმის კამერული ანსამბლები (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი და სხვ., ანსამბლური სონატების ჩათვლით) | 800—2000 |
| 24. სიუიტა კამერული ანსამბლისათვის | 350—800 |
| 25. სონატა სოლო ინსტრუმენტებისათვის | 800—1500 |
| 26. დიდი ერთნაწილიანი ინსტრუმენტული ნაწარმოები (პოემა, რაფსოდია, პრელუდია და ფუგა, პასაკალია და სხვ.) | 400—1000 |
| 27. მცირე კამერული ნაწარმოები | 80—180 |
| 28. დიდი ნაწარმოები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ | 500—1400 |
| 29. მცირე ფორმის ნაწარმოები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ | 150—350 |
| 30. დიდი საგუნდო ნაწარმოები ინსტრუმენტული აკომპანემენტით | 300—1000 |
| 31. მცირე ფორმის ნაწარმოები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით | 100—300 |
| 32. რომანსი, ბალადა, ვოკალიზი, საკონცერტო არია და სხვა კამერული ნაწარმოებები ხმისათვის აკომპანემენტით | 100—225 |
| 33. მუსიკა სიმღერისათვის | 90—225 |
| 34. მუსიკა თეატრალურ-დრამატული დადგმისათვის | 600—1200 |

შენიშვნები:

1. ერთაქტიანი ოპერის, ბალეტის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა ნაზღაურდება სრული განაკვეთის 25-დან 40 პროცენტამდე ნაწარმოების მნიშვნელობის მიხედვით.

2. ხალხური სიმღერების დამუშავება ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე.

3. მელოდიის თავისუფალი დამუშავება (დამუშავების ორიგინალური მუსიკალური ფაქტურა) ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 75-100 პროცენტის ოდენობით.

დამუშავება, რომელსაც ახალი შემოქმედებითი ელემენტები შეაქვს ორიგინალური ნაწარმოების მუსიკალურ ფაქტურაში, ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 50-75 პროცენტის ოდენობით.

4. ინსტრუმენტული გადმოღება (თავისუფალი) ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე ოდენობით.

5. ინსტრუმენტული გადმოღება (უბრალო) ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 15-დან 25 პროცენტამდე ოდენობით.

6. ორიგინალური ნაწარმოების ფაქტურის ცვლილება, რაც გამოწვეულია მხოლოდ შესრულების სხვა სახეობისათვის დამუშავების მორგების აუცილებლობით, ნაზღაურდება როგორც გადმოღება.

7. გადმოღება (მზა ავტორისეული მასალის გამოყენება შესრულების სხვა სახეობისათვის, კლავირი და ა. შ.) ნაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) რთული მუსიკალური ფაქტორის მქონე გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 20-40 პროცენტის ოდენობით;

ბ) უმარტივეს სახეობათა გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 5-15 პროცენტის ოდენობით;

გ) დირექციონების შედგენა — 45 კაპიკამდე ტაქტში.

8. ორკესტრისათვის გადაღება ნაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) ორკესტრისათვის გადაღების რთული სახეობანი (სიმფონიური ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისათვის და რთული გადაღების სხვა სახეობანი) — 45-65 კაპიკი ტაქტში;

ბ) ორკესტრისათვის გადაღების მარტივი სახეობანი — 25-45 კაპიკი ტაქტში.

9. დამუშავება და გადმოღება ნაზღაურდება იმ სახეობის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებული განაკვეთიდან გამომდინარე, რომელსაც მიეკუთვნება ეს თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

10. დამუშავებული ან გადმოღებული თხზულების ავტორს გასამრჯელო მიეცემა ტირაჟის ნორმებიდან და იმ სახეობის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებული მინიმალური განაკვეთის 60 პროცენტიდან გამომდინარე, რომელსაც მიეკუთვნება ეს თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

11. გადმოღება, დირექციონი და ორკესტრისათვის გადაღება, აგრეთვე ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა ჩაწერა (დაუმუშავებლად) ნაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად და არ ნაზღაურდება ხელახლა გამოცემისას.

12. წინათ შექმნილი პიესის ახალი სცენური რედაქცია უთანაბრდება ინსცენირებას. გასამრჯელო გაიცემა ჰონორარის მოქმედი ნორმების მიხედვით როგორც ინსცენირებისათვის — 25-დან 50 პროცენტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების დასახელება | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთი) |
|---|---|
| **მუსიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოებები** | |
| 35. მრავალაქტიანი ოპერის ლიბრეტო | 1750—3200 |
| 36. მრავალაქტიანი ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტო | 1200—2800 |
| 37. მრავალაქტიანი ბალეტის ლიბრეტო | 600—1200 |
| 38. ორატორიის, კანტატის ლიბრეტო | 250—700 |
| 39. მრავალაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტოს თარგმანი | 500—1200 |
| 40. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტოს თარგმანი | 300—600 |

**შენიშვნა:** ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, ბალეტის ლიბრეტო ნაზღაურდება შესაბამისი მრავალაქტიანი ლიბრეტოს განაკვეთის 25-დან 40 პროცენტამდე ოდენობით ნაწარმოების მნიშვნელობის მიხედვით.

| | |
|---|---|
| **ნაწარმოებები ესტრადისა და ცირკისათვის** | |
| 41. სკეტჩი, დრამატული ეტიუდი | 100—200 |
| 42. ფელეტონი, მინიატურა, ინტერმედია, კონფერანსი (გამჭოლი), მოთხრობა, ნოველა, მონოლოგი | 100—200 |
| 43. ტექსტი სიმღერისათვის | 60—100 |
| 44. კუპლეტი და შაირი (ოთხტაეპიანი ლექსისათვის) | 60—100 |
| 45. მუსიკა კუპლეტისა და შაირისათვის | 35—50 |

**შენიშვნა:** კუპლეტებისათვის შექმნილი ორნაწილიანი მუსიკა ნაზღაურდება ამ განაყოფის 32-ე პუნქტის შესაბამისად.

| | |
|---|---|
| 46. საესტრადო ნომრებისა და ორიგინალური ჟანრის ნომრების მონტაჟი, კომპოზიცია, ლიტერატურული გაფორმება | 55—100 |
| 47. შესავალი მონოლოგი წამყვანისათვის | 50—100 |
| 48. კოლექტივის შესასრულებლად განკუთვნილი პროლოგი და ფინალი | 100—120 |
| 49. მოკლე დიალოგი (ინტერმედია) | 20—40 |
| 50. მოკლე გალექსილი ტექსტი | 25—50 |
| 51. რაიოკი | 60—80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების დასახელება | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთი) |
|---|---|
| 52. ანტრეს ლიტერატურული გადამუშავება | 50—80 |
| 53. კლოუნის ანტრე, მუსიკალურ ექსცენტრიკოსთა ანტრე | 120—200 |
| 54. ცალკე რეპრიზი | 40—80 |
| 55. პანტომიმა, სიუჟეტური საცირკო წარმოდგენა (ლიბრეტო და ტექსტი) | 600—1000 |
| 56. საცირკო ნომრის მუსიკა (ციკლური ნაწარმოები) | 300—700 |
| 57. საცირკო ატრაქციონის, პანტომიმის, ერთგანყოფილებიანი სიუჟეტური, საცირკო სპექტაკლის, ყინულბალეტის მუსიკა | 800—1800 |
| 58. საცირკო ნომრის სცენარი (ახალი ორიგინალური ნომრის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება) | 150—300 |
| 59. საცირკო ატრაქციონის სცენარი (ახალი ორიგინალური ატრაქციონის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება) | 300—800 |
| 60. საცირკო ან საესტრადო წარმოდგენის მუსიკალური შესავალი, ანტრაქტი | 50—200 |
| 61. მარში, გალოპი, ვალსი, პოლკა, ინტერმეცო, რომანსი და სხვა მცირე პიესები | 100—250 |
| 62. საცირკო ან საესტრადო ნომრის აკომპანემენტისათვის განკუთვნილი მცირე მუსიკალური ნაწარმოები | 20—50 |
| 63. საცირკო ან საესტრადო ნომრის მუსიკალურ-კომპილაციური გაფორმება | 20—40 |
| 64. სიუჟეტური საესტრადო წარმოდგენის სცენარი და ტექსტი | 800—1500 |
| 65. მასობრივი დღესასწაულის ლიტერატურული სცენარი | 250—700 |

**შენიშვნა:** ესტრადისა და ცირკისათვის განკუთვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანი ნაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დაწესებული განაკვეთის 50 პროცენტის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზ. დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების, ერთი ენიდან მეორეზე ზემოაღნიშნული ნაწარმოებების თარგმანის, აგრეთვე საკონცერტო, საცირკო და საცეკვაო პროგრამების საჯაროდ შესრულებისათვის:

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| **ორიგინალური დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 1. პიესა ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე: | | |
| პროზად | 11 | 3 |
| ლექსად | 12 | 3,6 |
| 2. პიესა რუსულ ენაზე: | | |
| პროზად | 6 | 2 |
| ლექსად | 8 | 2,5 |
| 3. პიესა სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) და უცხო ენაზე: | | |
| პროზად | 8 | 2,5 |
| ლექსად | 10 | 3 |
| 4. პიესა ბავშვებისათვის, მათ შორის თოჯინების თეატრებისათვის: | | |
| პროზად | 8 | 2,5 |
| ლექსად | 10 | 3 |
| 5. ინსცენირება ნაწარმოებებისა, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს: | | |
| პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე — ინსცენირების ავტორს | 5 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე — ინსცენირების ავტორს | 5 | 2 |
| პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე — ინსცენირების ავტორს | 2 | 1 |
| პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) — ინსცენირების ავტორს | 3,5 | 1 |
| 6. ინსცენირება ნაწარმოებებისა, რომელთაც საავტორო უფლება იცავს: | | |
| პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე | 7 | 2,5 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 2 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 4 | 1,5 |
| მთარგმნელს | 1 | 0,5 |
| პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე | 4 | 1 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 2,5 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 2 | 0,5 |
| პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე | 7 | 2,5 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 2 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 4 | 1,5 |
| მთარგმნელს | 1 | 0,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე (გარდა რუსულისა) | 5 | 2 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს | 3 | 1 |
| მთარგმნელს | 1 | 0,5 |
| **თარგმნილი დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 7. თარგმანი პიესებისა, რომელთაც საავტორო უფლება არ იცავს: | | |
| თარგმანი სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმანი რუსულ ენაზე | | |
| მთარგმნელს თარგმანისათვის: | | |
| პროზად | 3,5 | 1 |
| ლექსად | 5 | 2 |

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ თარგმანი განხორციელდა შუალედური თარგმანიდან:

| | | |
|---|---|---|
| მთარგმნელს: | | |
| პროზად | 3 | 1 |
| ლექსად | 4 | 1.5 |
| შუალედური თარგმანის ავტორს: | | |
| პროზად | 0,5 | 0,5 |
| ლექსად | 1 | 0,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| 8. თარგმანი პიესებისა, რომელთაც საავტორო უფლება იცავს: | | |
| თარგმანი სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე და სსრ კავშირის ეროვნულ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმანი რუსულ ენაზე: | | |
| პროზად | 5 | 2 |
| ლექსად | 6,5 | 2,5 |
| აქედან: | | |
| პროზად | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1,5 | 0,5 |
| მთარგმნელს | 3,5 | 1,5 |
| ლექსად: | | |
| ნაწაროოების ავტორს | 2 | 0,5 |
| მთარგმნელს | 4,5 | 2 |
| **მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები** | | |
| 9. ოპერა ქართულ ენაზე | 16 | 5 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 11 | 3,5 |
| ლიბრეტოს ავტორს | 5 | 1,5 |
| 10. ოპერა რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) | 10 | 4 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 7 | 3 |
| ლიბრეტოს ავტორს | 3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| 11. ოპერა, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე | 13 | 5 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 7 | 2,5 |
| ლიბრეტოს ავტორს | 3 | 1 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს | 3 | 1,5 |
| შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ოპერაში შეტანილია ცალკე საცეკვაო ნომერი | — | 16 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 11 | 3,5 |
| ლიბრეტოს ავტორს | 4,75 | 1,25 |
| ქორეოგრაფს | 0,25 | 0.25 |
| 12. ბალეტი | 14 | 4 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 10 | 2 |
| ლიბრეტოს ავტორს | 2 | 1 |
| ქორეოგრაფს | 2 | 1 |
| 13. ოპერეტა, მუსიკალური კომედია ქართულ ენაზე | 11 | 3 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 5 | 1 |
| ლიბრეტოს ავტორს | 5 | 1 |
| ქორეოგრაფს | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| 14. ოპერეტა, მუსიკალური კომედია რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) | 8 | 3 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 3 | 1 |
| ლიბრეტოს ავტორს | 3 | 1 |
| ქორეოგრაფს | 2 | 1 |
| 15. ოპერეტა, მუსიკალური კომედია, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენებზე | 10 | 3 |
| აქედან: | | |
| კომპოზიტორს | 5 | 1,5 |
| ლიბრეტოს ავტორს | 2 | 0,5 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს | 2 | 0,5 |
| ქორეოგრაფს | 1 | 0,5 |
| 16. მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება მრავალაქტიანი დრამატული ნაწარმოები ყველა აქტში, — მთელი სპექტაკლისათვის | 2 | — |
| 17. მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება დრამატული ნაწარმოები არა ყველა აქტში, — ყოველი აქტისათვის | 0,5 | — |
| **საკონცერტო, საესტრადო, საცირკო პროგრამები** | | |
| 18. კონცერტი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, კამერული ნაწარმოებებისა და ხალხურ ინსტრუმენტთა ნაწარმოებებისათვის | 7 მთელი პროგრამისათვის | — |
| 19. სხვა კონცერტები, მათ შორის საესტრადო კონცერტები | 2,5 მთელი პროგრამისათვის | — |

| ნაწარმოების სახეობა | თეატრალურ-სანახაობით საწარმოთა მიერ დარიცხული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხის პროცენტულად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოები | ერთაქტიანი ნაწარმოები |
| 20. საცირკო პროგრამა | 1 მთელი პროგრამისათვის | — |
| 21. საცირკო პროგრამაში პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის შესრულებისათვის, რომელთაც უჭირავთ არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა | 0,5 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ ქვეგანაყოფის მე-20 პუნქტის მიხედვით | — |
| 22. საცირკო პროგრამაში სიუჟეტური ატრაქციონის შესრულებისათვის, რომელსაც უჭირავს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა | 0,25 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ ქვეგანაყოფის მე-20 პუნქტის მიხედვით | — |
| 23. ორიგინალური მუსიკის შესრულებისათვის, რომელიც სპეციალურად დაწერილია საცირკო პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის, ატრაქციონის საკომპანემენტოდ, რომელსაც უჭირავს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა | 0,25 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ ქვეგანაყოფის მე-20, 21-ე, 22-ე პუნქტების მიხედვით | — |
| 24. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებსა და რესტორანებში, აგრეთვე საცეკვაო მოედნებზე (გარდა მექანიკური ჩანაწერისა) | 1,5 შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან | — |
| 25. მექანიკურად ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის საცეკვაო მოედნებზე (როცა შესვლა ფასიანია) | 0,1 მთელი პროგრამისათვის | — |
| 26. მასობრივ არენებზე შესრულებული თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენები და კონცერტები, სპორტულ შეჯიბრებათა და საჩვენებელ გამოსვლათა მუსიკალური აკომპანემენტი | 0,5 მთელი პროგრამისათვის | — |
| 27. წარმოდგენები „ბალეტი ყინულზე“ | 1 მთელი სპექტაკლისათვის | — |
| 28. გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენები | 6 მთელი პროგრამისათვის | — |
| 29. გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენები მასობრივ არენაზე | 1 მთელი პროგრამისათვის | — |

**შენიშვნა:** ნაწარმოებებს გამჭოლსიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენის ჟანრს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტთან ერთად შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებში, რესტორანებში, საცეკვაო მოედნებსა და დისკოთეკებზე (მექანიკური და სხვა ჩანაწერების გარდა) ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო 1,8 კაპიკის ოდენობით.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები და მათი გამოყენების წესი შემოღებულია1989 წლის 1 იანვრიდან და გამოიყენება გადასახდელთა მიმართ, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1988 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, წინათ დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განაკვეთების პროპორციული გადიდებით.

ამასთან ავტორებს წინათ მიცემული გასამრჯელოს თანხების მიხედვით ანგარიში ხელახლა არ გაუსწორდებათ.

გადასახდელები, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1989 წლის 1 იანვრამდე, გაიცემა წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით.

3. ამ დადგენილების გამოსვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების № 1 და 2 დანართები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 აგვისტოს № 596 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 14 თებერვალი, 1989 წ. № 83

ეროვნული

## 15 საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და ამ კომიტეტის სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის (საქსახსათბობინსპექციის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულებანი საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ და ამ კომიტეტის სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის (საქსახსათბობინსპექციის) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ქ. თბილისი, 27 თებერვალი, 1989 წ. № 108

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 27 თებერვლის № 108
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი (საქსათბობსახკომი) არის საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, მისი შენახვა ხორციელდება უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების ხარჯზე და არის იურიდიული პირი.

3. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

4. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, სსრ კავშირის სახმომარაგების მითითებებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის ორგანიზაციის საკითხებზე, აგრეთვე ამ დებულებით.

### II. ძირითადი ამოცანები

5. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

— პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განუხრელი განხორციელება დარგის სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე;

— სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების ყოველმხრივი გამოყენება;

— დარგის საგეგმო პოლიტიკის განსაზღვრა, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან სახელშეკრულებო ურთიერთობათა განხორციელება, დარგში ტექნიკური პოლიტიკის ერთიანობის უზრუნველყოფა;

— რესპუბლიკის სათბობის მეურნეობის სისტემის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, გაზის მეურნეობის შეუფერხებელი და უავარიო ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, ნავთობპროდუქტების მიწოდება საექსპორტოდ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, დაწესებული გეგმების თანახმად, რესპუბ-

ლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომარაგება სათბობით (ბუნებრივი, გათხევადებული გაზითა და ნავთობპროდუქტებით*) და კონტროლი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ მომხმარებელთა მიერ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მისი რაციონალურად გამოყენებისადმი.

6. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ამ დებულებით მისთვის დაკისრებულ ამოცანებს თავისი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნული კომიტეტის სისტემას.

## III. ფუნქციები

7. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

**დაგეგმვისა და ეკონომიკის დარგში:**

— აგებს თავის საქმიანობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე, თანამიმდევრულად ახორციელებს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით განსაზღვრულ პრინციპებს, ხელს უწყობს შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის განვითარებას;

— ახორციელებს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების (სისტემის) საქმიანობის მართვას, იყენებს რა პერსპექტიული და გრძელვადიანი გეგმების ფორმირების საფუძვლად დაგეგმვის ამოსავალ მონაცემებს (საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს და ლიმიტებს), და უზრუნველყოფს საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) დაწესებული დაგეგმვის ამოსავალი მონაცემების ზუსტ ურთიერთკავშირს;

— რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა 15-წლიან პროექტებს, საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგრძლივ სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს მომავალი ხუთწლეულისათვის;

— შეიმუშავებს საწარმოებისათვის საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს, რომლებიც ასტიმულებენ საწარმოთა მიერ ყოველგვარი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას სათბობზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით;

— ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობას;

— შეისწავლის და განსაზღვრავს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს სათბობზე;

---

*) შემდგომ ეწოდება „სათბობი“

ბიბლიოთეკა

— შეიმუშავებს გრძელვადიან პროგნოზებს, განსაზღვრავს დარგის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს;

— შეიმუშავებს რესპუბლიკაში დარგის სტრუქტურის განვითარებისა და საწარმოთა (ორგანიზაციათა) განლაგების სქემებს;

— უზრუნველყოფს დაგეგმვისას სახელმწიფო ინტერესების რაციონალურ შეხამებას დარგისა და საწარმოთა (ორგანიზაციათა) ინტერესებთან;

— განავითარებს პროგრესულ საწარმოო სტრუქტურებს, ალრმავებს წარმოების კონცენტრაციასა და სპეციალიზაციას, შინა და დარგთაშორის კოოპერირებას, აუმჯობესებს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას;

— უზრუნველყოფს დარგის მუშაკთა შრომის, ცხოვრებისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებასთან, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტას;

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დარგში:**

— ეწევა სისტემატურ მუშაობას წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონის შეფასების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების გზების განსაზღვრის და სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე დარგის მაღალი ტექნიკური განვითარების უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყოფს დარგის მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა შემუშავებას მეცნიერული ძიებიდან მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვამდე, აგრეთვე ასრულებს კომპლექსური დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პროცესების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას საინფორმაციო მომსახურების, აგრეთვე გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის, მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების დარგში, საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას;

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს საზღვარგარეთ ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე პროგრესული მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნიკური პროცესების ლიცენზიების შესასყიდად და უზრუნველყოფს მათს რაც შეიძლება სწრაფად ათვისებას;

**კაპიტალური მშენებლობის დარგში:**

— ახორციელებს ეფექტიან პოლიტიკას კაპიტალურ მშენებლობაში დარგის განვითარების ამოცანების შესაბამისად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოების ფონდების ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა ოპტიმალურ შეხამებას საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის;

— გეგმავს და ორგანიზაციას უწევს მშენებლობას ნორმატიულ ვადებში, დროულად გადასცემს საექსპლუატაციოდ საწარმოებსა და ობიექტებს და ითვისებს ახალ სიმძლავრეებს;

— განავითარებს, განამტკიცებს და განაახლებს დარგობრივ სამრეწველო ბაზებს საიჯარო და სამეურნეო წესებით საწარმოთა, ნაგებობათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა განსახორციელებლად;

—ატარებს 1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საბინაო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზებს;

— განიხილავს, შეათანხმებს და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს სათბობის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, აგრეთვე გასცემს დასკვნებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი განლაგების შესახებ;

— წყვეტს მშენებლობათა დაფინანსებისა და იმ მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით მათი მომარაგების საკითხებს, რომელთა მიწოდება შემკვეთის მოვალეობას არ შეადგენს; ახორციელებს კონტროლს მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მოწყობილობის ხარისხისადმი, ორგანიზაციას უწევს მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებას;

— ამაღლებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობას;

**მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და გასაღების დარგში:**

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ქმნის დარგის საწარმოების მატერიალური რესურსებით მყარი უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს;

— განავითარებს წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობას, მომხმარებელთა პირდაპირ ურთიერთობას დამამზადებლებთან, აგრეთვე საფირმო ვაჭრობასა და სერვისულ მომსახურებას;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიის, რესურსების ყაირათიანად და რაც შეიძლება რაციონალური გამოყენებით, მათი დანაკარგების შემცირებით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო შეკვეთებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ მისი განაცხადების მიხედვით გამოყოფილი მოწყობილობის, აპარატურის, ავტოტრანსპორტისა და მასალების განაწილებაში საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის;

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას კრებსით განაცხადებს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა საჭიროებისათვის მოწყობილობაზე, აპარატურაზე, ავტოტრანსპორტსა და მასალებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღრიცხავს სათბობის რესურსებს რესპუბლიკაში, ადგენს სათბობის კრებსით აღმასრულებელ საანგარიშგებო მატერიალურ ბალანსებს;

— შეისწავლის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას სათბობის რესურსებზე (პროდუქტებზე), ახორციელებს სათბობის პროდუქტების მიწოდების გეგმების შესრულების ეკონომიკურ ანალიზს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს მათი უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

— განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით სათბობით მათი მომარაგების ოპტიმალურ ფორმებს, ახორციელებს ღონისძიებებს მომხმარებელთათვის სათბობის ცენტრალიზებული მიტანის განსავითარებლად, ფართოდ იყენებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე მექანიზაციის საშუალებებს და სრულყოფს მომსახურების ფორმებს;

—უზრუნველყოფს და აკონტროლებს დამტკიცებული გეგმების მიხედვით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მომწოდებელთაგან, აგრეთვე იმპორტის ხაზით შემოსული სათბობის მიღებას, მის აღრიცხვას, რაოდენობისა და ხარისხის დაცვას მიღების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გაცემის დროს, აგრეთვე ყველა მატერიალური ფასეულობისა და ფულადი სახსრების დაცვას კომიტეტის სისტემაში;

— აკონტროლებს ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, მათი საექსპორტოდ მიწოდებისათვის მუშაობის ორგანიზაციას, უზრუნველყოფს მომხმარებელთაგან ნამუშევარი ზეთებისა და სხვა ნავთობპროდუქტების მიღებას კომიტეტის სისტემის ნავთობბაზებსა და ავტოგასაწყობ სადგურებში, ახდენს მათს რეგენერაციას და ხელახლა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, დაწესებული გეგმების თანახმად;

— სახელმწიფოებრივ კონტროლს უწევს სათბობის რაციონალურად გამოყენებასა და სწორად შენახვას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ხარჯვის ნორმების სწორად დაწესებასა და გამოყენებას, საწვავ-საზეთი მასალებისა და გაზის ხარჯვის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას, აანალიზებს სათბობის დანაკარგებისა და არარაციონალური გამოყენების მიზეზებს, იღებს საჭირო ზომებს მათი აღმოფხვრისათვის, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს სათბობის ეკონომიისა და მისი დანაკარგების შემცირებისათვის წარმოებაში, მშენებლობაში, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს, აკონტროლებს სათბობის ეკონომიის დავალებათა შესრულებას.

ყველა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტისა და მოსახლეობის სათბობით მომარაგება გამოყოფილი ფონდების შესაბამისად ხორციელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მხოლოდ საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების სათბობით მომარაგების რეჟიმის ყველა ცვლილება ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით.

სათბობით მომარაგების რეჟიმების ცვლილებათა შესახებ რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებელი და რადიოთი და ტელევიზიით გადასაცემი განცხადებები უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს;

**ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში:**

— ამაღლებს დარგში საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დონეს, განამტკიცებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) ფინანსურ მდგომარეობას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების თანამიმდევრული განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე;

— ახორციელებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) ზარალიანობის მთლიანად აღმოფხვრისა და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით მათი მუშაობისათვის საჭირო რენტაბელობის დონის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ქმნის პირობებს სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივი) ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში საწარმოთა (ორგანიზაციათა) მონაწილეობის გასადიდებლად;

— ეფექტიანად იყენებს კომიტეტის ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებს და ახდენს მათს კონცენტრაციას დარგის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

— ახორციელებს ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად დასაწესებელი სახელშეკრულებო და კომიტეტის მიერ დასამტკიცებელი ფასებისა და ტარიფების ეკონომიკური დასაბუთების ამაღლებას, ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას;

— აანალიზებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) საწარმოო-საფინანსო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შედეგებს, აკონტროლებს მათ მიერ სახელმწიფო-საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვას;

— უზრუნველყოფს მკაცრ კონტროლს საბრუნავი სახსრების დაცვისადმი და არ უშვებს საწარმოთა (ორგანიზაციათა) მიერ მათს არადანიშნულებისამებრ გამოყენებას — კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტისა და სხვა მიზნებისათვის;

— უზრუნველყოფს კონტროლს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხელფასის სახსრების ხარჯვისადმი;

— სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკთან ერთად განსაზღვრავს მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვითაც წესდება წარმოების მოცულობა ხელფასის გაცემისას საწარმოთა (ორგანიზაციათა) საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით;

— გასცემს ნებართვებს საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ დაშვებული ხელფასის გადახარჯვის დასაფარავად.

კომიტეტს უფლება აქვს გაათავისუფლოს ცალკეული საწარმოებს (ორგანიზაციები) კომიტეტის მიერ დაწესებული ხელფასის ფონდის დაზოგული გადახარჯვის ანაზღაურებისაგან;

— საქვეუწყებო საწარმოთა (ორგანიზაციათა) შორის შრომის გეგმის განაწილებისას იტოვებს თავის განკარგულებაში ხელფასის რეზერვს 2 პროცენტამდე ოდენობით;

— ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში აძლევს საქვეუწყებო საწარმოთა (ორგანიზაციათა) მუშაკებს პრემიებს დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისადმი, შრომის ანაზღაურების თაობაზე მოქმედი დებულებებითა და საპრემიო სისტემით გათვალისწინებულის გარდა, აგრეთვე უწევს ამ სახსრებიდან ერთდროულ დახმარებას, ამასთან ხარჯავს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის კომიტეტის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტს;

— აძლევს კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიებს და უწევს მათ მატერიალურ დახმარებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ კომიტეტისათვის დამტკიცებული შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

— ასრულებს საქვეუწყებო საიჯარო ორგანიზაციათა ძალებით სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის სამუშაოებს შემკვეთთათვის დაწესებული შრომის ლიმიტების ხარჯზე, ამასთან აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს;

— ცვლის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმებს მუხლების მიხედვით გეგმით დაწესებული ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, ამასთან შემდგომ აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

— ქმნის საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვს წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე ოდენობით, შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით გათვალისწინებული ნორმატივების ზრდის თანხის მიუხედავად;

— ხსნის დადგენილი წესით ანგარიშებს ბანკებში;

— გადაჰყავს დადგენილი წესით საწარმოები და ორგანიზაციები ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში სამუშაოთა მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში;

— ორგანიზაციას უწევს კომიტეტის სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნების, ეკონომიის რეჟიმის დაცვის შემოწმებათა ყოველმხრივ ანალიზს, ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

— ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების

დაყენებისადმი, იღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და ბუღალტრულ ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმების მიხედვით, აანალიზებს მათ, ახორციელებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

— ამტკიცებს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით სისტემის საწარმოთა მიერ გამოსაშვები პროდუქციისა და გასაწევი მომსახურების ფასებსა და ტარიფებს;

— შეიმუშავებს და წარუდგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოსახლეობის მიერ გაზის ხარჯვის ნორმებს;

**საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დარგში დადგენილი წესით:**

— შეიმუშავებს წინადადებებს პერსპექტიული პერიოდისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა შესახებ;

— შეისწავლის და განაზოგადებს საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას რესურსდაზოგვის დარგში;

— განახორციელებს ღონისძიებებს დარგის განვითარების დაჩქარების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის;

— განავითარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ახალ პროგრესულ ფორმებს, აქტიურად შეუწყობს ხელს სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დამყარებას, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნასა და საქმიანობის უზრუნველყოფას;

— გააღრმავებს ეკონომიკურ ინტეგრაციას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, განახორციელებს გადასვლას უპირატესად სავაჭრო ურთიერთობიდან ღრმა სპეციალიზაციასა და ფართო საწარმოო კოოპერაციაზე;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ექსპორტის ეფექტიანობის ამაღლება და არარაციონალური იმპორტის შემცირება;

**კადრების, შრომისა და სოციალური განვითარების დარგში:**

— განახორციელებს აქტიურ საკადრო პოლიტიკას საწარმოებში (ორგანიზაციებში) ხელმძღვანელთა არჩევითობის პირობებში, უზრუნველყოფს დასაწინაურებელი კადრების რეზერვის ფორმირებას, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციას და სისტემის მატერიალური ბაზის განმტკიცებას;

— სრულყოფს დარგში წარმოების, შრომისა და მართვის, ხელფასის, მატერიალური და მორალური სტიმულების სისტემის ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებს;

— ყოველმხრივ ხელს შეუწყობს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, მისი ფორმებისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფას, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებასა და გამოყენებას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასთან და მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების გამოყენებასთან დაკავშირებით გამოსათავისუფლებელ მუშაკთა შინა და დარგთაშორისი გადანაწილების ღონისძიებებს;

—განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას სისტემისათვის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებზე და ანაწილებს დადგენილი წესით ახალგაზრდა სპეციალისტებს;

— ახორციელებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევას, დაწინაურებასა და განაწილებას, განამტკიცებს შრომისა და საწარმოო დისციპლინას, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ამაღლების მატერიალური და მორალური სტიმულების სწორ შეხამებას, მინდობილი საქმისა და კომიტეტის მუშაობის საერთო შედეგებისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი წყვეტს შრომისა და სოციალური განვითარების საკითხებს დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და პროფკავშირის შესაბამის დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

კომიტეტი ახორციელებს თავის საქმიანობას სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, იღებს ზომებს მისი განმტკიცებისათვის.

## IV. ხელმძღვანელობა

8. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

9. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად აგებს პასუხს კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისა და მისი ფუნქციების განხორციელებისათვის, განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა და ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის დონეს კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის.

11. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მისთვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისას სარ-

გებლობს მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრებისათვის მინიჭებული უფლებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და მის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

კოლეგიის თავმჯდომარესა და წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში კოლეგიის თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ შეატყობინონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. დემოკრატიზაციის გაღრმავებისა და დარგის მართვის საქმეში შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა ჩაბმის, ერთმმართველობისა და კოლეგიურობის პრინციპების უფრო ეფექტიანი შეხამების მიზნით საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან იქმნება დარგის საბჭო სათათბირო ორგანოს სახით, რომლის შემადგენლობაში შედიან წამყვან საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, პროფკავშირთა წარმომადგენლები და სპეციალისტები. დარგის საბჭო წელიწადში ორჯერ მაინც ატარებს სხდომებს, რომლებზეც განიხილავს დარგის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხებს, შეფასებას აძლევს მისი მუშაობის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარგში წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების შესახებ.

14. თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, საჭირო შემთხვევებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს (ორგანიზაციებს) მისთვის დამტკიცებული შრომის ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე ამტკიცებს მათი უფლებამოსილების განმსაზღვრელ დებულებებს (წესდებებს).

16. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებას, აგრეთვე მისი ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობასა და შრომის ანაზღაურების ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელ მუშაკთა, მთავარ სპეციალისტთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობისა და მოქმედი ნორმების გაუთვალისწინებლად, ხოლო თანამდებობრივ სარგოებს — თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო თანამდებობრივი სარგოების გაუთვალისწინებლად დაწესებული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და პრემირების დებულებათა თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 27 თებერვლის № 108
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია (საქსახსათბობინსპექცია) შედის საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში და ამ კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს მუშაობას სათბობის ხარისხისა და გამოყენების შემოწმებათა ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ სათბობმომმარაგებელ და სათბობმომხმარებელ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში*), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საწარმოებში გაზის, როგორც სათბობისა და ნედლეულის, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების შემოწმება ტარდება სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო გაზზედამხედველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს ტერიტორიულ ინსპექციასთან ერთად.

შემოწმების მიზანია სათბობის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება, მისი ეკონომიის რეზერვების გამოვლენა და საწარმოებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა მისი ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციაში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგებისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების ინსტრუქციებითა და მითითებებით, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია, საქართველოს სსრ სათ-

---

*) შემდგომ ეწოდება „საწარმო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური მეთოდური და საანალიზო ლაბორატორიები, რეგიონალური და შტატგარეშე ინსტრუქტორები შეადგენენ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა სისტემას.

ცენტრალური მეთოდური და საანალიზო ლაბორატორიების, რეგიონალური და შტატგარეშე ინსპექტორების შესახებ დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის უფროსსა და პასუხისმგებელ მუშაკებს ნიშნავს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დადგენილი წესით.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია კონტროლს უწევს:

სათბობის ხარისხს, მის შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან და სხვა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებთან;

— სათბობის ხარჯვის ნორმირების მდგომარეობას, ხარჯვის ნორმების დაცვას, სათბობის ეკონომიის, მისი მიღების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, ტრანსპორტირებისა და ხარჯვის წესის გაუმჯობესების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და შესრულებას;

— სათბობის ხარჯვისა და ეკონომიის ნორმების შემცირების დავალებათა არსებობასა და მათ შესრულებას;

— ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და რაციონალური გამოყენების გეგმების შესრულებას;

— სათბობის მიღების, შენახვის, გაცემისა და ტრანსპორტირების წესების, აგრეთვე მისი გამოყენების მარეგლამენტებელი სხვა წესებისა და დებულებების დაცვას;

— სათბობის გამომყენებელი დანადგარების, აგრეგატების, მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობასა და ექსპლუატაციას;

— გაზმომხმარებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა მომზადებას მათთვის დაწესებული სარეზერვო სახეობათა სათბობით მუშაობისათვის.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციას მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად უფლება აქვს:

— მიიღოს სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოებისაგან საგეგმო, საანგარიშგებო, საბუღალტრო, აგრეთვე შემოწმებათა ჩატარებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტები და მასალები;

დაუბრკოლებლად შევიდეს და დაათვალიეროს ყველა ადგილი და ობიექტი, სადაც გამოყენებულია სათბობი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეადგინოს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით აქტები შემოწმებათა შედეგების მიხედვით და მიიღოს შემოწმებულ საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან ახსნა-განმარტებანი მათ გამო;

— მისცეს ყველა საწარმოსათვის სავალდებულო მითითებანი (მიწერილობანი) გამოვლენილ დარღვევათა დაწესებულ ვადებში აღმოფხვრის შესახებ;

— მიიღოს საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან ინფორმაცია შემოწმებათა მსვლელობაში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების შესახებ;

— ინსტრუქტაჟი გაუწიოს რესპუბლიკის საწარმოთა მუშაკებს სათბობის რაციონალური გამოყენების საკითხებში;

— აკრძალოს იმ შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის გამოყენება, სადაც სათბობის გამოყენება იწვევს მის დანაკარგებს და ხარისხის გაუარესებას, ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრამდე და შეატყობინოს შემდეგ ეს ზემდგომ ორგანოთა ხელმძღვანელებს;

— აკრძალოს სათბობის სხვადასხვა სახეობათა გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამებიან სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს;

— შეადგინოს აქტები, ოქმები სათბობის მფლანგველური და უკანონო გამოყენების შესახებ და დააყენოს შესაბამის ორგანოთა წინაშე საკითხი დადგენილი წესით სასჯელის სხვადასხვა ზომის დადების თაობაზე;

— დადგენილი წესით წარუდგინოს დამრღვევ საწარმოებს საჯარიმო სანქციები;

— მონაწილეობა მიიღოს კომპლექსურ შემოწმებებში შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა მომზადებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საკითხებზე;

— მიიზიდოს სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა სპეციალისტები მათ ხელმძღვანელებთან შეთანხმებით საწარმოებში სათბობის ხარისხისა და გამოყენების შემოწმების ჩასატარებლად.

4. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია მოვალეა:

— შეიმუშაოს შემოწმებათა ჩატარების ვადები და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას;

— მოახსენოს სსრ კავშირის სახმთმარაგებასა და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას შემოწმებათა ჩატარების შედეგები და მოამზადოს მოხსენებანი სათბობის ხარისხის დაცვისა და გამოყენების მდგომარეობის შესახებ;

— აცნობოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს შემოწმებათა შედეგად მათ საქვეუწყებო საწარმოებში გამოვლენილ დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა შესახებ მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მისაღებად;

ეროვნული ბიბლიოთეკა


— გააცნოს მასალები დარღვევათა ფაქტების შესახებ შრომითი კოლექტივების საბჭოებს და საჭირო შემთხვევებში საბჭოთა ორგანოებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს, პროკურატურის ორგანოებს დამნაშავე პირთა მიმართ ზემოქმედების ზომების მისაღებად;

— წარუდგინოს განსახილველად ზემდგომ ორგანოებს წინადადებანი ადგილებზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საქვეუწყებო საწარმოების მუშაკთა წახალისების შესახებ.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის საქვეკონტროლო საწარმოები მოვალენი არიან უზრუნველყონ მისი მუშაკები ადგილებზე შემოწმებათა ჩატარების დროს სამსახურებრივი სადგომებით, აგრეთვე საუწყებო კავშირგაბმულობის საშუალებებითა და ტრანსპორტით მათთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესასრულებლად.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებს აქვთ ერთიანი ნიმუშის მოწმობები და შედიან საქვეკონტროლო ობიექტებში ზემოაღნიშნული ინსპექციის უფროსის მიერ მიცემული დავალებების მიხედვით (მანდატებით).

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სათბობის ხარისხისა და რაციონალური გამოყენების სახელმწიფო ინსპექცია სარგებლობს ბეჭდით, პლომბითა და ბლანკებით, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1989 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/V-89 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 7,5, სააღრიცხვო თაბახი 7,5.

**წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.**

შეკვეთა 511 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში იქმნება სპეციალური ქვეგანყოფილება.

კომისიის ტექნიკურ მომსახურებას (მასალების ბეჭდვა, გამრავლება, დაგზავნა, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი ორგტექნიკის დახმარებით) ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმეთა მმართველობა.

## 54 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ლ. ცაგარელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის არჩილ ლუკას ძე ცაგარელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. დაწესდეს ა. ლ. ცაგარელის სახელობის ერთი სტიპენდია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტებისათვის.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

— თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოს ა. ლ. ცაგარელის სახელი;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს (პავლოვის ქ. № 43), სადაც ცხოვრობდა ა. ლ. ცაგარელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ივნისი, № 297

**55** **საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლისათვის დ. მ. იოსელიანის სახელის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შუამდგომლობა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლას მიეკუთვნოს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 20 ივნისი, № 309

## 56 „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 იანვრის № 72 დადგენილების (მე-2 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი) შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საბინაო-კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ოქტომბრის № 520 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების 1-ლ პუნქტში სიტყვები: „ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხოლო 2 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები“.

2. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 დეკემბრის № 637 დადგენილებას შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 29 დეკემბრის № 637 დადგენილების 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი 4 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა დაზუსტებულ მონაცემებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო 4 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისას — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 27 ივნისი, № 321

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 57 ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ

რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონების ახალი რუქის შედგენისას ხუდონჰესის მშენებლობის რაიონში გამოვლინდა მაღალი სეისმური ზონები, ამასთან მეცნიერ-სპეციალისტთა აზრით დიდწყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგური უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე.

ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონების, ქ. ჯვარის მოსახლეობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნის გათვალისწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა და შემუშავდეს სათანადო ღონისძიებანი მისი მშენებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის.

2. დაევალოთ საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“, ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტს“, საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენს“:

— მიმდინარე წელს შეასრულონ სალიკვიდაციო სამუშაოები შემუშავებული ნუსხის მიხედვით და მისი შესრულების ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;

— შეიმუშაონ მიმდინარე წლის ბოლომდე ობიექტის სრული ლიკვიდაციის (კონსერვაციის) პროექტი სამუშაოთა შესრულების ვადებისა და მათი მოცულობების განსაზღვრით.

3. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჩიტანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 ივნისი, № 330

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1989 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-89 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$.
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 966 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა